# საგანმანათლებლო ტერმინთა განმარტებანი

ლექსიკონის შემდგენლები:
ციალა გორდეზიანი
ციცინო გახოკიძე

თბილისი 2005

XXI საუკუნის საქართველოს განათლების სისტემაში შემოსულმა არაერთმა უცხო სიტყვამ თანამედროვე საგანმანათლებლო ტერმინთა განმარტებანი მოითხოვა, რამაც წინამდებარე ლექსიკონის შედგენა განაპირობა

წიგნში ანბანის მიხედვითაა განმარტებული ყოველი სიტყვა, რაც ვიმედოვნებთ, დიდ დახმარებას გაუწევს ამ კუთხით დაინტერესებულ ყველა პირს.

მრავალი ცდისა და სირთულის მიუხედავად, წიგნი უნაკლო არ იქნება და ავტორები ყოველ საქმიან შენიშვნას მადლობით მიიღებენ.

ლექსიკონის შემდგენელნი უცხო სიტყვათა განმარტებებზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებისათვის მადლობას უხდიან მენტორ ნ. წიკლაურს.

რედაქტორი პროფ. კონსტანტინე კაკიტაძე

რეცენზენტი: პროფ. ნათელა იმედაძე

© გამომცემლობა შპს “ხატულა“ 2005

© ციალა გორდეზიანი 2005

ISBN 99940-0-691-6

# ქართული ანბანი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ან | მ | მან | ღ | ღან |
| ბ | ბან | ნ | ნარ | ყ | ყარ |
| გ | გან | ო | ონ | შ | შინ |
| დ | დონ | პ | პარ | ჩ | ჩინ |
| ე | ენ | ჟ | ჟან | ც | ცან |
| ვ | ვინ | რ | რაე | ძ | ძილ |
| ზ | ზენ | ს | სან | წ | წილ |
| თ | თან | ტ | ტარ | ჭ | ჭარ |
| ი | ინ | უ | უნ | ხ | ხან |
| კ | კან | ფ | ფარ | ჯ | ჯან |
| ლ | ლას | ქ | ქან | ჰ | ჰაე |

4



# ა

***აბატი*** — კათოლიკურ მამათა მონასტრის წინამძღვარი; მღვდელი.

***აბატისა*** — კათოლიკურ დედათა მონასტრის წინამძღვარი.

***აბერაცია*** — ჭეშმარიტებიდან გადასვლა, ცდომილება.

***აბიტურიენტი*** — სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი და სწავლის გაგრძელებას აპირებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

***აბრაკადაბრა*** — უაზრო სიტყვები.

***აბრევიატურა*** — სიტყვათა შემოკლება.

***აბრეჟე*** — სამეცნიერო ხარისხი საფრანგეთში.

***აბსტრაქცია*** — რაიმე საგნის ან მოვლენის ნიშნების უგულებელყოფა და არსებითი ნიშნების გამოყოფა აზროვნებაში.

***აბსენტეიზმი*** — დაუსწრელობა; გაცდენა (გაკვეთილის, ლექციის, ...).

***აგლომერაცია*** — შეერთება, შერწყმა.

***აგნოზია*** — სწორი აღქმის დარღვევა.

***აგნოსტიკა*** — ობიექტური რეალობის შემეცნების შესაძლებლობის უარყოფა.

***აგრაფია*** — წერის უნარის მოშლა ან მთლიანად დაკარგვა.

# 6

***ადაპტაცია*** – შეგუება გარემო პირობებთან; რეფლექტორული მოქმედების თანდათან კოორდინირებულ და მიზანმიმართულ ჩვევად გადაქცევა.

***ადაპტური სკოლა*** – აქტიური სკოლა, ახალი სკოლა.

***ადაპტირებული ტექსტი*** – გამარტივებული, შემოკლებული ან გადაკეთებული ტექსტი.

***ადეკვატური*** – სრული, შესატყვისი, შესაბამისი.

***ადეპტი*** – რაიმე მოძღვრების დამცველი.

***ადიუნქტი*** – პირი, რომელიც უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის ემზადება

***ადმინისტრაცია*** – მართვა-გამგებლობა დაწესებულებებში.

***ადმინისტრატორი*** – პასუხისმგებელი განმკარგულებელი.

***ადორაცია*** – გაღმერთება

***ადრესანტი*** – პირი, რომელიც გზავნის ადრესს, ბარათს.

***ადრესატი*** – პირი, ვისაც ეგზავნება ბარათი, ვის სახელზეც ადრესია შედგენილი.

***ავანგარდი*** – საზოგადოებრივი ჯგუფის მოწინავე ნაწილი

***ავერსიული*** – არასასიამოვნო, მტკივნეული.

***ავტოგრაფი*** – საკუთარი ხელმოწერა.

***ავტონომია*** – დამოუკიდებლობა, თვითმმართველობა.

***ავტორიტარული*** – მბრძანებლური, ერთპიროვნული.

***ავტორიტეტი*** – საყოველთაოდ აღიარებული გავლენა, მნიშვნელობა.



**აზროვნება** – აზრთა შედგენა-შეპირისპირების, მსჯელობისა და დასკვნების პროცესი; ადამიანის მიერ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონებისა და კანონზომიერებათა გონებაში ასახვის პროცესი.

**ათეიზმი** – ყოველგვარი რელიგიისა და ღვთის არსებობის უარყოფა.

**აკადემია** – უმაღლესი სამეცნიერო ან სასწავლო დაწესებულება.

**აკადემიკოსი** – მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

**აკადემიური საბჭო** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

**აკმეოლოგია** – მეცნიერება, რომელიც იკვლევს პროფესიონალიზმის მწვერვალების მიღწევის კანონზომიერებებსა და ფაქტორებს, ადამიანის შემოქმედებით ხანგრძლივობას.

**აკომოდაცია** – ინდივიდის წარმოდგენების, ცოდნისა და გამოცდილებით მიღებული რეაქციის შეცვლა ახალი სიტუაციის შესაბამისად; (შეგუება, მორგება).

**აკრედიტაცია** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის დადგენის პროცედურა.

**აკუმულატორი** – რისამე შემკრები.

**აკუმულირება** – რისამე დაგროვება.



**ალგორითმი** — ნებისმიერი ამოცანის ამოხსნის თანმიმდევრული ელემენტარული ოპერაციების შესრულება.

**ალექსია** — კითხვის უნარის დარღვევა ან სრული მოშლა.

**ალიანსი** — კავშირი, გაერთიანება.

**ალილუია** — "აქებდეთ ღმერთსა" ღვთის სადიდებელი შეძახილი.

**ალმანახი** — კრებული, რომელშიც მოთავსებულია თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებები.

**ალბიონი** — ინგლისის უძველესი სახელწოდება.

**ალტერნატივა** — ორი ან მეტი შესაძლებლობიდან ერთის შერჩევა.

**ალტრუიზმი** — უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის.

**ამბიონი** — ამაღლებული ადგილი საკურთხევლის წინ, სადაც ლოცვებს წარმოთქვამენ.

**ამორალური** — მორალური და ზნეობრივი ნორმების უარმყოფელი.

**ამოცანა** — მიზანი, მისი კონკრეტული გამოხატვა, მიზანდასახულობა.

**ანათემა** — ეკლესიიდან განდევნა, შეჩვენება.

**ანალიზი** — რისამე შესწავლა მისი ნაწილებად დაშლით ან ლოგიკური აბსტრაქციით საგნის დანაწევრება.

**ანამორფული** — დამახინჯებული; სახეცვლილი; არასწორი.

**ანაქრონიზმი** — მოძველებული შეხედულება, ქრონოლოგიური შეუსაბამობა.



***ანდროგოგიკა*** — პედაგოგიკის დარგი, რომელიც ადგენს, თუ ვის განეკუთვნება წამყვანი როლი ერთიან პედაგოგიურ პროცესში.

***ანემია*** — სისხლნაკლებობა.

***ანოტაცია*** — წიგნის, სტატიის და მისთ. შინაარსის მოკლედ გადმოცემა.

***ანთოლოგია*** — სხვადასხვა ავტორის რჩეულ თხზულებათა კრებული.

***ანთროპოლოგია*** — მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებას, ადამიანის წარმოშობას; ადამიანთმცოდნეობა.

***ანომალია*** — კანონზომიერების დარღვევა, ნორმისაგან გადახვევა.

***ანტიციპაცია*** — რისამე წინასწარ განჭვრეტა-გამოცნობა.

***ანტურაჟი*** — გარემო.

***აპათია*** — უინტერესობა, ყველაფრისადმი გულგრილობა.

***აპარატი*** — დაწესებულების ან ორგანიზაციის შტატი.

***აპერცეფცია*** — აღქმის განპირობებულობა მიღებული გამოცდილებით, ცოდნით, ინტერესებით, ჩვევებით.

***აპლიკაცია*** — ნახატის, ორნამენტის შექმნა ქაღალდის ან ქსოვილის მიწებებით.

***აპოკრიფი*** — სასულიერო მწერლობის დარგი, რომლის თემატიკა ბიბლიის სიუჟეტებზეა აგებული.

***აპოლოგი*** — ვისიმე, რისამე დამცველი, გადამეტებული შემქებელი.



**აპრიორი** – ცდისგან დამოუკიდებლად.

**აპრობაცია** – გამოცდა ჩანაფიქრის მიზნის მისაღწევად ამა თუ იმ საკითხის დადგენის მიზნით; საცდელი შემოწმება, შემოწმების შედეგად დადასტურებული აზრი.

**არანჟირება** – წესრიგში მოყვანა.

**არგუმენტი** – მტკიცება.

**არგუმენტირებული** – დამტკიცებული.

**ასისტენტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელი, რომელსაც აქვს მცირე აკადემიური ხარისხი და უძღვება პრაქტიკულ მეცადინეობებს.

**ასისტენტ-პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა, რომელზეც შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც არის დოქტორი ან დოქტორანტი, რომელიც უძღვება ლაბორატორიულ, სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობებს.

**ასოცირებული-პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

**ასოციაცია** – წარმოდგენათა შორის ისეთი კავშირი, როდესაც ერთს მეორის გამოწვევა შეუძლია; ნებაყოფლობითი გაერთიანება, კავშირი.

**ასპექტი** – თვალსაზრისი, რომლითაც განიხილავენ საგნებს, მოვლენებს და სხვ.

16



***ასტერონევროტული*** — მღელვარე განწყობილების პიროვნება.

***ატესტაცია*** — დასკვნა ვისიმე უნარის, ღირსების, ცოდნის ან ქცევის შესახებ.

***ატრაქტორი*** — მიმზიდველი, მიმპყრობი.

***ატრიბუცია*** — იმ ავტორთა ვინაობის დადგენა, რომელთა ნაწარმოებები ხელმოუწერლად ქვეყნდება ინიციალებით, ფსევდონიმებით და კრიპტონიმებით.

***აუდიტი*** — კონტროლი.

***აუდიტორია*** — ოთახი ან დარბაზი, სადაც იკითხება ლექცია; გადატ. მსმენელები.

***აუთენტური შეფასება*** — უტყუარი შეფასება.

***აუტოდიდაქტიკა*** — დარგი, რომელიც შეისწავლის პიროვნების მიერ საკუთარი თავის შეცნობის პრობლემებს.

***აფაზია*** — მეტყველების მოშლილობა.

***აფექტი*** — ძლიერი და შედარებით ხანმოკლე ემოციური განცდა.

***აფონია*** — ხმის არქონა.

***აქსიომა*** — ჭეშმარიტება, დებულება, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს.

***აქსელერაცია*** — ბავშვის განვითარების დაჩქარებული მიმდინარეობა.

***აქსიოლოგია*** — მოძღვრება ღირებულებათა შესახებ (ეთიკა, ესთეტიკა და სხვ.).

18



**აქტიური შემეცნება** – სწავლისადმი ისეთი დამოკიდებულება, რომელიც ინტერესის გაღვივებას და ახლის აღმოჩენისაკენ სწრაფვას განაპირობებს.

**აქტიური სწავლება** – დიდაქტიკური პრინციპი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინიციატივიანობასა და დამოუკიდებლობას, ცოდნის მტკიცედ დაუფლებას, უნარ-ჩვევათა გამომუშავებას და კრიტიკულ აზროვნებას სწავლების პროცესში.

**აქტუალიზაცია** – ადამიანის ცოდნის, უნარების, ჩვევების. ქცევის სხვადასხვა ფორმის ემოციური მდგომარეობის კვლავწარმოება; პოტენციური მდგომარეობიდან აქტუალურ მდგომარეობაში გადაყვანა.

**აღზრდა** – ყოფაქცევის ჩვევები, რომელსაც იძლევა სკოლა, ოჯახი, გარემო და გამოვლინდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პედაგოგიური პროცესის ის ნაწილი, რომელშიც პიროვნების განათლება, განვითარება და ფორმირება ხდება მოქმედების სხვადასხვა სახეობით და აღმზრდელის ხელმძღვანელობით.

**აპოლოგი** – ვისიმე, რისამე დამცველი, გადამეტებული შემქებელი.

**აღზრდილობა** – პიროვნების ინტეგრაციული თავისებურება, რომელიც ხასიათდება მის მიერ მოქმედებაში ათვისებული ცოდნის მოცულობით და ხასიათით, უნარ-ჩვევებით, თვისებებით.

**აღმზრდელი** – პირი, რომელიც ახორციელებს აღმზრდელობით ზემოქმედებას.



***აღსაზრდელი*** — ადამიანი, რომელიც აღმზრდელობითი ზემოქმედების ობიექტია.

***აღქმა*** — სინამდვილის საგნებისა და მოვლენების მთლიანობითი ასახვა, შემეცნების პირველი საფეხური.

***ახსნა*** — სწავლების ვერბალური მეთოდი.



# ბ

**ბაზა** – რისამე საყრდენი, საფუძველი.

**ბაკალავრიატი** – პირველი სამეცნიერო ხარისხი უნივერსიტეტში.

**ბალავარი** – საძირკველი, საფუძველი (კედლის საყრდენი გათლილი ლოდი საძირკველში).

**ბალანსი** – შეფარდებითი ჯამი.

**ბალანსირება** – წონასწორობის დაცვა, გათანაბრება.

**ბალასტი** – ზედმეტი, უხარისხო, უსარგებლო.

**ბანალური** – სიახლეს, ორიგინალურობას მოკლებული; გაცვეთილი, მობველებული.

**ბარიერი** – მოქმედების შემაფერხებელი გარემოება, წინაღობა.

**ბატალია** – ბრძოლა.

**ბედლამი** – ქაოსი, არეულ–დარეულობა.

**ბელეტრისტი** – პროზაიკოსი.

**ბენეფისი** – ვინმეს პატივსაცემად გამართული წარმოდგენა; პირველი გამოსვლა.

**ბესტსელერი** – ადვილად სარეალიზაციო წიგნი.

**ბიბლია** – ქრისტიანთა სალმრთო წიგნების კრებული, რომელშიც შედის დაბადება, სახარება, საქმე მოციქულთა და სხვა.



***ბიბლიოგრაფია*** — წიგნებისა და სხვა გამოცემების მეცნიერული, სისტემატიზებული აღნუსხვა.

***ბიენალე*** — ორწლიანი რაიმე ღონისძიება (მაგ.: გამოფენა).

***ბილინგვა*** — ორენოვანი (ტექსტი, ენა და ა. შ.).

***ბინარული თარგმანი*** — თარგმანი უშუალოდ ერთი ენიდან მეორეზე.

***ბიოსფერო*** — სასიცოცხლოდ ვარგისი სფერო.

***ბიპოლარობა*** — ორპოლუსიანობა, ორი საწინააღმდეგო, საპირისპირო რამ...

***ბიულეტენი*** — ზოგიერთი გამოცემის სახელწოდება.

***ბიუჯეტი*** — ხარჯთაღრიცხვა.

***ბიფურკაცია*** — რისამე ორად განშტოება.

***ბიჰევიორიზმი*** — გარეგნულად გამოვლენილი ქცევა და მისი შედეგების შესწავლა (ქცევათმეცნიერება).

***ბლიც-კონფერენცია*** — სასწრაფო კონფერენცია.

***ბომონდი*** — რჩეული საზოგადოება.

***ბოსი*** — პატრონი, მესვეური.

***ბოჰემა*** — უთავბოლო ცხოვრება.

***ბრეინ სთორმინგი*** — (გონებრივი იერიში) ამა თუ იმ საკითხის შესახებ ბევრნაირი თვალსაზრისის თავისუფლად შემუშავების აქტი კრიტიკული შეზღუდვების გარეშე.

***ბრიფინგი*** — რაიმე საინტერესო მოვლენასთან ან საკითხთან დაკავშირებით გამართული პრეს-კონფერენცია.

***ბროშურა*** — რბილყდიანი პატარა წიგნი.



***ბუკინისტური*** – ძველი, ნახმარი, იშვიათი წიგნი.

***ბუკლეტი*** – ბროშურა, რამდენიმეგვერდიანი წიგნი.

***ბუმერანგი*** – რისამე უკან მობრუნება.

***ბურლესკა*** – იუმორისტული პოეზიის ერთ-ერთი სახეობა.

***ბუტაფორია*** – ყალბი.

***ბუფონადა*** – გაზვიადებული, უსეში კომიზმი.



# გ

***გალანტური*** – თავაზიანი, ზრდილობიანი.

***გამომეტყველებით კითხვა*** – ხმამაღლა კითხვა, რომლითაც გადმოიცემა ტექსტის იდეურ-მხატვრული შინაარსი ლიტერატურული წარმოთქმის ნორმების დაცვით.

***განათლება*** – სისტემატიზებული ცოდნის, უნარ–ჩვევების და შემეცნებითი ძალების, შესაძლებლობების, პრაქტიკული მომზადების დონის ერთობლიობა.

***განათლების სისტემა*** – საგანმანათლებლო დაწესებულებათა ერთობლიობა, რომლებიც მოწოდებულნი არიან ქვეყანაში სააღმზრდელო–საგანმანათლებლო საქმიანობის გადასაწყვეტად.

***განათლების ფსიქოლოგია*** – განათლების სფეროში ფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა სპეციფიკის შესწავლა

***განათლების ეკონომიკა*** – განათლების სფეროში ეკონომიკის კანონზომიერებათა მოქმედების სპეციფიკის შესწავლა.

***განვითარება*** – ინდივიდის, საზოგადოების წევრის ფორმირებისა და სრულყოფის პროცესი.

***გარანტია*** – საწინდარი, პირობა, რომელიც უზრუნველყოფს რისამე წარმატებას.

***გარემო*** — საგნების, ადამიანების, მოვლენების ურთიერთ-დაკავშირებული სამყარო, რომელიც ბავშვის ფორმირებას განაპირობებს.

***გეგმა*** — წინასწარ დასახულ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც წესრიგს, თანმიმდევრობასა და შესრულების ვადებს გულისხმობს.

***გენდერი*** — სქესი; სოციალურ-ბიოლოგიური მახასიათებელი, რომლის დახმარებითაც "კაცის" და "ქალის" ცნება განისაზღვრება.

***გენეზისი*** — წარმოშობა, წარმოქმნა.

***გენერალიზაცია*** — ჩასატარებელი საქმიანობის საბოლოოდ ჩამოყალიბება.

***გენერაცია*** — აღმოცენება, წარმოშობა, გაჩენა, დაბადება.

***გენეტიკა*** — მეცნიერება, რომელიც სწავლობს ორგანიზმების მემკვიდრეობასა და ცვალებადობას.

***გენია*** — უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი.

***გერონტოლოგიკა*** — ხანდაზმულთა სწავლებისა და განვითარების კანონზომიერებათა და მიმართულებათა დარგი პედაგოგიკაში.

***გიმნაზია*** — საგანმანათლებლო დაწესებულება, საშუალო სასწავლებელი.

***გლობალიზაცია*** — გაერთიანება, გამთლიანება.

***გლობალური*** — საერთო, მთლიანი.

***გლოსარიუმი*** — უცხოურ ტერმინთა განმარტებანი.

# 3

***გნოსეოლოგია*** — ფილოსოფიური მოძღვრება მეცნიერული შემეცნების შესაძლებლობათა და საშუალებათა შესახებ; შემეცნების თეორია.

***გნოსტიკური მოქმედება*** — პედაგოგიური პროცესის შემოწმება-შეფასება, მისი მსვლელობისა და ეფექტურობის ანალიზი.

***გნოსტიციზმი*** — ადრეული ქრისტიანობის რელიგიურ–ფილოსოფიური მიმდინარეობა.

***გონება*** — ადამიანის აზროვნების უნარი, ჭკუა, ინტელექტი.

***გონებრივი იერიში*** — (ბრეინ სთორმინგი) სწავლების მეთოდი, რომლის დროსაც მოსწავლეები წინასწარ განსაზღვრულ დროში აყალიბებენ საკუთარ აზრს და იდეას ამა თუ იმ პრობლემურ საკითხზე. დაცულია პრინციპი "ყველა აზრი მისაღებია". დასარულ, მასწავლებლის დახმარებით ხდება გამოთქმულ აზრთა და იდეათა კატეგორიებად დახარისხება და პრიორიტეტებად დაყოფა.

***გრადაცია*** — ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლა.

***გრანტი*** — განაცხადი; დამფინანსებელი ორგანიზაციის, კორპორაციის ან სხვა ინსტიტუტის მისამართით შედგენილი წერილობითი თხოვნა მატერიალური (ფულადი ან ტექნიკური) დახმარების მოსაპოვებლად.

***გრაფა*** — სვეტი; შუალედი ორ ვერტიკალურ ხაზს შორის.

***გრენაჟი*** — დამზადება.





***გრიმასი*** – მიმიკა.

***გრიფი*** – ბეჭედი, შტემპელი თანამდებობის პირის ხელმოწერით.

***გროტესკი*** – სასაცილო, უჩვეულო, უცნაური.

***გუვერნანტი*** – ოჯახის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის უცხო ენებს, ქცევის მანერებს და სხვ.

## დ

***დადაიზმი*** – უკიდურესი ფორმალისტური მიმდინარეობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

***დარწმუნება*** – პედაგოგიური ზემოქმედების მეთოდი, რითაც მასწავლებელი აღწევს მოსწავლეთა დაჯერებას, სასურველი რწმენის შემუშავებას, რომელიც აღსაზრდელთა მოქმედების შეგნებულ ნორმად იქცევა.

***დასწავლა*** – ინდივიდის მიერ გამოცდილების შესწავლა-გავარჯიშება.

***დასჯა*** – ვინმესთვის დადებული სასჯელის სისრულეში მოყვანა; აღმზრდელობითი ღონისძიება, რომელსაც იყენებენ იმ მოსწავლის მიმართ, რომელმაც დაარღვია სკოლის რეჟიმი.



**დაქტილოლოგია** — ყრუ-მუნჯთა თითებით ლაპარაკის ხერხი; ხელის ანბანი.

**დებატები** — რაიმე საკითხის საჯაროდ განხილვა; კამათი, აზრთა გაცვლა.

**დედუქცია** — მსჯელობის ხერხი — ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნის გამოტანა.

**დევალვაცია** — დონის დაწევა, გაუფასურება.

**დევიაციური** — ნორმიდან გადახრილი.

**დევიაცია** — სწორი მიმართულებიდან გადახვევა.

**დეკანი** — უმაღლეს სასწავლებელში ფაკულტეტის ხელმძღვანელი.

**დეკლამაცია** — მხატვრული კითხვა.

**დელიკატური** — ზრდილობიანი, თავაზიანი.

**დელეგირება** — მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების სხვა პირებზე გადანაწილება.

**დემაგოგი** — საკითხის შეგნებულად უმართებულოდ გამშუქებელი; ფაქტების დამმახინჯებელი.

**დემენცია** — ჭკუასუსტობა.

**დემოგრაფია** — ხალხთა აღწერილობა.

**დემოკრატია** — სახელმწიფო წყობა, სადაც ხელისუფლება ხალხის მიერაა არჩეული და მისი მოქმედება მოქალაქეთა ნება-სურვილზეა დამყარებული.

**დეპარტამენტი** — ადმინისტრაციული ერთეული.

**დეტერმინაცია** — განპირობება, განსაზღვრა.



***დეტერმინიზმი*** – მატერიალისტური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ყველა მოვლენა აუცილებელი მიზეზობრივი კავშირითაა განპირობებული.

***დეფექტი*** – ნაკლოვანი, ხარვეზი.

***დეფექტოლოგია*** – მეცნიერება ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლის მქონე ბავშვთა განვითარების, აღზრდისა და სწავლების შესახებ.

***დეფინიცია*** – საგნის განსაზღვრა არსებითი ნიშნების საშუალებით.

***დიაგნოზი*** – გამოცნობა, დადგენა, დასკვნა.

***დიაგნოსტიკა*** – დიაგნოზის დასმა, მოსწავლეთა აღზრდილობის, განათლებულობისა და განვითარების დადგენა.

***დიაგრამა*** – გრაფიკული გამოსახულება.

***დიალოგი*** – საუბარი ორ პირს შორის.

***დიასპორა*** – სხვა სახელმწიფოში მცხოვრები ერთი ეროვნების წარმომადგენლობა.

***დიდაქტიკა*** – პედაგოგიკის ნაწილი, მოძღვრება სწავლების შინაარსის, მეთოდების, ორგანიზაციული ფორმების შესახებ; სწავლებისა და განათლების თეორია.

***დივერგენცია*** – სხვადასხვაობა; გადახრა.

***დიპლომი*** – ნებისმიერი კვალიფიკაცია /კრედენციალი, მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

**დირექტივა** — მითითება, რომლის შესრულებაც აუცილებელია.

**დირექტიული სწავლება** — მასწავლებლის მიერ მზა პროდუქციის მიწოდება.

**დისერტაცია** — სამეცნიერო ნაშრომი, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

**დისკრიმინაცია** — უფლებების შეზღუდვა, თანასწორუფლებიანობის მოსპობა.

**დისკუსია** — კამათი, პაექრობა.

**დისონანსი** — შეუთანხმებლობა.

**დისპერსია** — დაშლა, დაყოფა, განბნევა.

**დისტანციური სწავლება** — სწავლება ტექნოლოგიების მეშვეობით (ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინტერნეტი, ტელევიზია, მაგნიტოფონი და ა. შ.).

**დისციპლინა** — მტკიცედ დადგენილი წესი, რომლის დაცვა სავალდებულოა ყველასათვის; ცოდნის, მეცნიერების დარგი, სასწავლო საგანი.

**დიფერენციაცია** — რაიმე მთელის დაყოფა ნაწილებად; განსხვავება.

**დონე** — განვითარების საფეხური; კვალიფიკაციის ადგილი განათლების სისტემაში.

**დომინანტი** — ძირითადი, გაბატონებული აზრი, იდეა.

**დოქტორანტურა** — უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, მაგისტრატურის გაგრძელება.



***დოქტორი*** – უმაღლესი აკადემიური ხარისხი, რომელიც დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭებათ.

***დოციმონოლოგია*** – მოსწავლეთა ცოდნის შეფასების პრობლემების შესწავლა.

***დუბლიკატი*** – რაიმე დოკუმენტის მეორე პირი, რომელიც დედნის მაგიერია.

***დღიური*** – ავტორის მიერ სისტემატური დაკვირვებების, კვლევის, პირადი, ავტობიოგრაფიული ხასიათის ყოველდღიური ან პერიოდული ჩანაწერები.



# ე

**ეგზისტენციალიზმი** — არსებობის ფილოსოფია, ადამიანის მიერ სამყაროში თავისი არსებობის, "მე"-ს განცდა.

**ეგზისტენციური** — ყოფითი.

**ეგიდა** — მფარველობა.

**ეგოცენტრიზმი** — პიროვნების საკუთარ მიზნებზე განწყობა, საკუთარი ამოცანების დასახვა, მიზანმიმართულად ზრუნვა საკუთარ წარმატებებზე, სხვისი უფლებების გაუთვალისწინებლობით.

**ეგოცენტრისტი** — ადამიანი, რომელიც წინა პლანზე აყენებს საკუთარი ფსიქიკური ცხოვრების მოტივებს და გარშემომყოფთა ინტერესებისა და მსჯელობის იგნორირებას ახდენს.

**ედიტორი** — გამომცდელი.

**ევოლუცია** — განვითარების პროცესი.

**ევრისტიკა** — გამოკვლევისა და სწავლების ხერხები ჭეშმარიტების აღმოსაჩენად.

**ევფემიზმი** — კეთილმეტყველება, უხეში სიტყვების შეცვლა სასიამოვნო სიტყვებითა და გამოთქმებით.

**ეთიკა** — ფილოსოფიური მოძღვრება მორალის, ზნეობის შესახებ.

**ეთიკური** — ეთიკის თვალსაზრისით მისაღები, მოსაწონი.



***ეთნოსი*** — ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მეტ-ნაკლებად დიდი ან მცირე ჯგუფი, თავდაპირველად ტერიტორიის, ენისა და კულტურის საფუძველზე შეკავშირებული.

***ეთნოცენტრიზმი*** — ქვეყანაში ერთი რომელიმე დომინირებული კულტურა (უმრავლესობის კულტურა) და მოთხოვნა იმისა, რომ იგი ნიმუში იყოს სხვა კულტურისთვისაც.

***ეკვივალენტი*** — რისამე ტოლფასი.

***ეკოლოგია*** — ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ორგანიზმებისა და მათი გარემოს ურთიერთდამოკიდებულებას.

***ეკუმენიზმი*** — მსოფლიოს საეკლესიო მოძრაობა, რომლის მიზანია ყველა ქრისტიანული ეკლესიის გაერთიანება.

***ელექტიური*** — არჩევითი.

***ემანსიპაცია*** — უფლებრივად გათანასწორება, ვინმეზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება.

***ემპირიული*** — სამყაროს აღქმა გრძნობის ორგანოების საშუალებით.

***ემერიტუსი*** — საპატიო პროფესორი.

***ემოცია*** — ადამიანის განცდა, რომელიც ასახავს ადამიანის შეფასებითი დამოკიდებულებას რაიმე მოვლენის და პიროვნების მიმართ.

***ემპათია*** — მეორე ადამიანის ემოციური მდგომარეობის უშუალო წვდომა.



***ენიგმატიკური*** – საიდუმლოებით მოცული, გამოუცნობელი.

***ენციკლოპედია*** – მეცნიერული გამოცემა (ლექსიკონის სახით), რომელშიც მნიშვნელოვანი ცნობებია მოცემული ყველა დარგიდან.

***ეპიგონური*** – მიმართულება, რომელსაც აკლდა ორიგინალობა, შემოქმედებითი დამოუკიდებლობა; სისუსტისა და უნიათობის გამოხატულება.

***ეპიგრაფი*** – წარწერა; სხვა ავტორის ნაწარმოებიდან აღებული დებულების აზრის, ლექსის წამძღვარება მწერლის ნაწარმოებებზე და მის ცალკეულ თავებზე.

***ეპილეპტოიდური*** – აგრესიული, ალგზნებადი პიროვნება.

***ეპილოგი*** – ბოლოთქმა, ბოლოსიტყვა.

***ერთიანი ეროვნული გამოცდა*** – პროცედურა, რომელიც ადგენს აბიტურიენტის მზაობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად.

***ერუდიტი*** – დიდი ერუდიციის მქონე ადამიანი.

***ერუდიცია*** – განსწავლულობა.

***ესთეტიკა*** – ფილოსოფიური მოძღვრება მშვენიერების შესახებ.

***ესსე*** – თავისუფალი ფორმის ნარკვევი (პრობლემური).

***ესქატოლოგია*** – მისტიკური მოძღვრება მსოფლიოს და ადამიანის საბოლოო ბედზე.

***ეტიკეტი*** – თავის დაჭერის, ურთიერთობის წესების ერთობლიობა.



***ეტიმოლოგია*** — ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს სიტყვის წარმომავლობას.

***ეფექტიანი სწავლა/სწავლება*** – სწავლებისა და სწავლის გამოყენება მიზნის მისაღწევად და მოსწავლის სასწავლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

***ეფექტიანობა*** — მაქსიმალური სარგებლიანობა. მინიმალური რესურსების გამოყენებით მაქსიმალური სარგებლის მიღება.

***ექსკლუზიური*** — პირველადი, ჯერაც არ წარმოდგენილი; განსაკუთრებულად, კონკრეტული აუდიტორიისათვის.

***ექსპანსია*** — ახალი ტერიტორიების დაპყრობა.

***ექსპერიმენტი*** — მეცნიერულად დაყენებული ცდა.

***ექსპერტი*** — სპეციალისტი, რომელიც ირკვევს და განიხილავს რაიმე საკითხს სწორი დასკვნის მისაცემად.

***ექსპლიციტური*** — ხილული, თვალსაჩინო (საპირ. იმპლიციტური — უხილავი).

***ექსპრესია*** — გამომსახველობა, რაიმე განცდის, გრძნობის გამოხატვის ძალა.

***ექსპრომტი*** — სახელდახელო, უცბად შეთხზული, მოკლედ თქმა.

***ექსტრაპოლაცია*** — განახლება, შეცვლა; კერძო დებულების გავრცელება ფართო სფეროზე.

***ექსტრაქტი*** — შინაარსის მოკლედ გადმოცემა.

3

# 3

***ექსტერნატი*** — სწავლების სისტემა, რომელიც მოსწავლის მუშაობას ემყარება იმ სავალდებულო პროგრამის მიხედვით, რაც ამა თუ იმ სასწავლებლისათვის იყო გათვალისწინებული და ეძლევა გამოცდების ჩაბარების უფლება გადავადებით.

# ვ

***ვაგანტი*** — შუა საუკუნეებში მოხეტიალე პოეტ-სტუდენტი.

***ვაკანსია*** — თავისუფალი, დაუკავებელი ადგილი.

***ვაკუუმი*** — სიცარიელე.

***ვალეოლოგია*** — მეცნიერება, რომელიც სწავლებითა და აღზრდით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯანმრთელობის შენარჩუნება-გაუმჯობესებას, ამ პროცესების კვლევას.

***ვალიდური*** — თანაფარდი, ადეკვატური, მიზანშეწონილი სარწმუნო.

***ვალიდურობა*** — გამოკვლევის კომპლექსური დახასიათება, რომელიც შეიცავს ცნობებს იმის შესახებ, რამდენად საჭიროა აღნიშნული მეთოდი, რომელიც სპეციალურად იყო შერჩეული და როგორია მისი მოქმედების ორიენტირები, რისთვისაც იყო იგი

# 3

ჩართული მოქმედებაში; პრაქტიკული გამოყენებითობა.

***ვანდალიზმი*** — ბარბაროსობა.

***ვარიანტი*** — რისამე ნაირსახეობა.

***ვარირება*** — სახის ცვლა; გადასხვაფერება.

***ვარჯიში*** — სწავლებაში მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სასწავლო მოქმედების მრავალგზისი შესრულება ამ მოქმედების ცოდნა—ჩვევათა განმტკიცების მიზნით.

***ველენის ქაღალდი*** — მაღალხარისხოვანი, პერგამენტივით კრიალა ქაღალდი.

***ვერბალური*** — ზეპირსიტყვიერი.

***ვერსია*** — რაიმე ფაქტის, ამბის ერთ-ერთი ახსნა (რამდენიმედან).

***ვერსიფიკაცია*** — ლექსთწყობა.

***ვეტო*** — აკრძალვა.

***ვიზა*** — თანამდებობის პირის მიერ დოკუმენტზე გაკეთებული აღნიშვნა.

***ვიზიტი*** — ოფიციალური მონახულება.

***ვიზუალური*** — მხედველობითი.

***ვირტუოზი*** — ხელოვნების ტექნიკას სრულყოფილად დაუფლებული ადამიანი.

***ვიქტორინა*** — კითხვებზე პასუხის გაცემა; ერთგვარი თამაში.

***ვოკაბულარი*** — ქრესტომათიის ან სახელმძღვანელოს ლექსიკონი.





***ვუნდერკინდი*** – უნიჭიერესი ბავშვი.

# ზ

***ზენიტი*** – რისამე განვითარების მწვერვალი, უმაღლესი წერტილი.

***ზეპირსიტყვიერება*** – ხალხური შემოქმედება.

***ზერო*** – ნული ქულა; ნული.

***ზიგზაგი*** – ტეხილი ხაზი.

***ზნეობა*** – წესებისა და ნორმების ერთობლიობა, რომელიც საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას, ყოფაქცევას განსაზღვრავს; მორალი.

***ზოდიაქო*** – თორმეტი თანავარსკვლავედი, რომელთა ნიშნებს ცხოველთა სახელები აქვთ.

***ზოილი*** – უსამართლო, ღვარძლიანი კრიტიკოსი.



# თ

***თავისუფლება*** — აზრის, ნების გამომჟღავნების შესაძლებლობა

***თალმუდიზმი*** — სქოლასტიკური მსჯელობა, დოგმათა უაზრო დაცვა.

***თანაავტორი*** — პირი, რომელიც ვინმესთან ერთად ავტორია რისამე.

***თეატრალი*** — თეატრის მოყვარული.

***თეზა*** — დებულება, რომლის ჭეშმარიტება უნდა დამტკიცდეს (ლოგიკაში).

***თეზისი*** — მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულება.

***თეთრი ლექსი*** — ურითმო ლექსი.

***თემა*** — საკითხი, რომელსაც ეხება თხრობა, გამოკვლევა, საუბარი და მისთ.

***თემატიკა*** — გარკვრული მიზნით ან თვალსაზრისით შერჩეულ თემათა ერთობლიობა.

***თეოლოგი*** — ღვთისმეტყველი.

***თეორემა*** — მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობას მტკიცების გზით ადგენენ.

***თეორეტიკოსი*** — პირი, რომელიც ამუშავებს ცოდნის ამა თუ იმ დარგის თეორიის საკითხებს.

***თეორია*** — გამოცდილების, საზოგადოებრივი პრაქტიკის ლოგიკური განზოგადება, რომელიც ბუნებისა და





საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს ასახავს.

***თეჯნისი*** — ორაზროვანი გამოთქმა.

***თვითაღზრდა*** — ადამიანის აქტიურობა, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ თავის პიროვნებაში ჩამოაყალიბოს დადებითი და სოციალურად მისაღები თვისებები.

***თვითგანათლება*** — დამოუკიდებელი მუშაობის გზით მიღებული განათლება სასწავლო დაწესებულებაში სისტემატური კურსის გავლის გარეშე.

***თვითდაკვირვება*** — დაკვირვება საკუთარ მოქმედებებზე, ფიქრებსა და გრძნობებზე; შიგნითხედვა.

## ი

***იადგარი*** — ჰიმნებისა და საგალობლების კრებული.

***იგნორირება*** — უარყოფა.

***იდეა*** — ჩანაფიქრი, რისიმე მთავარი აზრი.

***იდეალიზაცია*** — გაზვიადებული დადებითი დახასიათება. იდეალად მიჩნევა.

***იდეალი*** — ადამიანთა მისწრაფებათა და მოღვაწეობის საბოლოო მიზანი, რისამე სრულყოფის განსახიერება.

***იდეოლოგია*** — იდეათა, შეხედულებათა სისტემა.

***იდენტური*** — მსგავსი, ერთნაირი.

***იდეური*** — იდეებით გამსჭვალული.



***იდენტიფიკაცია*** — გაიგივება, გათანაბრება, დადგენა.

***იერარქია*** — "იერარქიული კიბე", თანმიმდევრობა უდაბლესიდან უმაღლესისაკენ.

***იზოლირება*** — გამიჯვნა.

***იზოქრონული*** — ერთი და იგივე ხანგრძლივობისა.

***ილუსტრატორი*** — მხატვარი; გეგმების, ნახატების, რუკების გამფერადებელი.

***ილუსტრაცია*** — დასურათება.

***იმიტაცია*** — მიბაძვა, მოდელირება, მიმსგავსება; განმეორება.

***იმპერატივი*** — კატეგორიული მოთხოვნა.

***იმპლიმენტაცია*** — განხორციელება, შესრულება, დანერგვა.

***იმპლიციტური*** — უხილავი, თვალით რომ არ ჩანს.

***იმპროვიზაცია*** — რისამე სახელდახელოდ შეთხზვა და შესრულება.

***ინგრედიენტი*** — რისამე შემადგენელი ნაწილი.

***ინდივიდი*** — ბიოლოგიური გვარის წარმომადგენელი.

***ინდივიდუალობა*** — ადამიანის ინდივიდუალური თვისებების ერთგვარი თანმიმდევრობა, რითაც იგი სხვა ადამიანებისაგან განსხვავდება.

***ინდიკატორი*** — მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა წარმატებითაა მიზანი მიღწეული.

***ინდუქცია*** — მსჯელობის ხერხი — ცალკეული დებულებიდან ზოგადი დასკვნის გამოტანა.

***ინერტული*** — უსიცოცხლო, უმოქმედო.

***ინვარიანტული*** — სხვადასხვა ვარიანტული.



***ინვექტივა*** — მკვეთრი, მამხილებელი, საბრალდებო გამოსვლა ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ.

***ინიციატორი*** — წამომწყები, მოთავე რაიმე საქმის.

***ინკლუზია*** — ჩართვა.

***ინკლუზიური განათლება*** — შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეთა ჩართვა საერთო საგანმანათლებლო პროცესში.

***ინოვაცია*** — განახლება; ახალი ფორმებისა და სხვა ელემენტების წარმოქმნა პედაგოგიურ პროცესში.

***ინსპირაცია*** — ვინმესთვის რაიმე აზრის შთაგონება.

***ინსტრუმენტალური*** — მოქმედებასთან დაკავშირებული.

***ინსტრუქტაჟი*** — სახელმძღვანელო მითითებანი.

***ინსტრუქტირება*** — მასწავლებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების ერთობლიობა, რომლის მიზანია სწავლა/სწავლების შესაძლებლობების გაზრდა.

***ინტეგრაცია*** — რაიმე ნაწილების ერთ მთლიანობაში მოყვანა, გაერთიანება.

***ინტელიგენცია*** — სოციალური ფენა, რომელთაც აქვთ ცოდნა მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში.

***ინტელექტი*** — გონებრივი განვითარების დონე; ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენის მეტნაკლები შესაძლებლობა.

***ინტელიგენტი*** — განათლებული, კულტურული ადამიანი.



***ინტერაქტიური*** – ურთიერთქმედებითი.

***ინტერაქციონიზმი*** – პიროვნებათაშორისი კომუნიკაცია, რომლის მთავარ თვისებად მიჩნეულია ადამიანის უნარი "მიიღოს სხვისი როლი", მოახდინოს სიტუაციის ინტერპრეტაცია დაააგოს საკუთარი მოქმედებანი.

***ინტერდისციპლინარული*** – საგანთაშორისი კავშირი.

***ინტერესი*** – რისამე გაგების, გაცნობის, შესწავლის სურვილი.

***ინტერვიუ*** – საუბარი ჟურნალისტთან ან კორესპოდენტთან პრესაში ან რადიო-ტელევიზიაში გადასაცემად.

***ინტერპერსონალური*** – პიროვნებათაშორისი, საკუთარი სამუშაოს კარგად დაუფლებისა და სხვათა მოტივირების უნარი.

***ინტერპრეტაცია*** – რისამე თავისებური, შემოქმედებითი შესრულება; განმარტება, აზრის ახსნა.

***ინტუიცია*** – თანმიმდევრული მსჯელობის გარეშე დასკვნა, ალღო, მიხვედრა.

***ინტროსპექცია*** – თვითდაკვირვება.

***ინფორმაცია*** – რაიმე ან ვისიმე ამბის შეტყობინება.

***ინფრასტრუქტურა*** – სოციალური სისტემის ცხოვრებისუნარიანობის სრულყოფისათვის შექმნილ პირობათა კომპლექსი.

***ირეალური*** – არარეალური.





***ისტერიოიდული*** — დემონსტრაციული პიროვნება, ეგოცენტრისტული ტიპი, გამოირჩევა ინდივიდუალიზმითა და ეგოიზმით.

***იუნიორი*** — ახალგაზრდა.

***იურისპრუდენცია*** — სამართალმცოდნეობა.

# კ

***კაბადონი*** — დაწერილი ფურცლის ცალი პირი, გვერდი; დაკაბადონება — გვერდებად შეკვრა.

***კაზუსი*** — რაიმე შემთხვევა (ძნელი, არაჩვეულებრივი, სასაცილო) ან დახლართული საქმე.

***კალამბური*** — სიტყვის თამაში, მოსწრებული გამოთქმა—ხუმრობა.

***კალიგრაფია*** — ლამაზად წერის ხელოვნება.

***კალოკაგათია*** — ყოველმხრივი განვითარება.

***კანონზომიერება*** — კანონის შესაბამისი, მისგან გამომდინარე პროცესი, კავშირები, დამოკიდებულებანი, ურთიერთობანი, რომლებიც ობიექტურად არსებობენ ადამიანის შეგნებისა და ნებისაგან დამოუკიდებლად..



***კანცელარია*** — საქმის წარმოების განყოფილება დაწესებულებაში.

***კარაბადინი*** — 1. ძველებური წიგნი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ავადმყოფობათა აღწერილობას, ცნობებს მათი მკურნალობისა და სამკურნალო საშუალებების შესახებ, 2. ასტროლოგიური საწინასწარმეტყველო წიგნი.

***კატეხიზმო*** — ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით.

***კაუზალური*** — მიზეზობრივი.

***კაფია*** — ამა თუ იმ აზრის ლექსად გაწყობა, რითმების სახელდახელოდ, წინასწარ, მოუმზადებლად შექმნა ან მოძებნა.

***კვალიფიკაცია*** — ნებისმიერი ხარისხი, დიპლომი ან სერთიფიკატი, რომლითაც დასტურდება უმაღლესი განათლების პროგრამის წარმატებული დასრულება.

***კვართი*** — პერანგი.

***კვლევა*** — რისამე გარკვეული მიზნით, გარკვეული მეთოდებით შესწავლა.

***კვოტა*** — რისამე მისაღები ნორმა.

***კლასიფიკაცია*** — საგნების, მოვლენების, ცნებების დაყოფა, განმასხვავებელ ნიშან–თვისებათა მიხედვით ჯგუფებად, თანრიგებად.

***კლასტერი/ამლაბუდა*** — სემანტიკური ბადე – გრაფიკული ორგანიზატორი, რომელიც ეხმარება მასწავლე-



ბელს და მოსწავლეს იდეებს შორის კავშირების დამყარებაში.

***კლონირება*** — უსქესო გამრავლება, გენეტიკური გამრავლება; ასლის, ორეულის შექმნა.

***კოალიცია*** — შეთანხმება, კავშირი მიზნის მისაღწევად.

***კოგნიტური*** — შემეცნებასთან დაკავშირებული.

***კოლიზია*** — საპირისპირო ინტერესებისა და მისწრაფებების შეჯახება—შეპირისპირება.

***კოლოკვიუმი*** — მასწავლებლის გასაუბრება (ზეპირი ან წერითი ფორმით) მოსწავლეებთან მათი ცოდნის გამორკვევის მიზნით.

***კომენტარი*** — რისამე ახსნა—განმარტება.

***კომპაქტური*** — შეკრული, მჭიდრო.

***კომპეტენტური*** — რაიმე დარგის ან საკითხის სათანადოდ მცოდნე პირი.

***კომპონენტი*** — რისამე შემადგენელი ნაწილი.

***კომუნიკაცია*** — აზრთა გაცვლა—გამოცვლა.

***კომუნიკე*** — ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; ოფიციალური ცნობა რაიმე საკითხის შესახებ.

***კონფორმულობა*** — აზრის შეცვლა ჯგუფის ზეგავლენით.

***კომბინაცია*** — რთული ჩანაფიქრი, ქმედებათა ერთობლიობა.

***კომპოზიცია*** — არქიტექტონიკა, რაც აგებას, შედგენას ან მთლიანობას ნიშნავს.

***კონდირება*** — განპირობება.

# 3

***კონდიცია*** – დადგენილი ნორმა, სტანდარტი, რასაც უნდა შეესაბამებოდეს ესა თუ ის საგანი.

***კონექტორები*** – დაკავშირების საშუალებანი, რომლებიც აერთიანებენ ტექსტის ერთეულებს.

***კონვენცია*** – შეთანხმება, რაიმე საკითხზე დადებული ხელშეკრულება.

***კონვერგენტული სწავლა*** – ლოგიკური სწავლა.

***კონკურენცია*** – მეტოქეობა უპირატესობის მოსაპოვებლა.

***კონკურსი*** – შეჯიბრი საუკეთესოს გამოსავლენად.

***კონსერვატორი*** – ძველის დამცველი და სიახლის მოწინააღმდეგე.

***კონსენსუსი*** – ორი მხარის საერთო მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმება.

***კონსილიუმი*** – მსგავსი მოსაზრებების შერწყმა, თავმოყრა ან გაერთიანება.

***კონსონანსი*** – ჰარმონიულობა, კეთილხმოვანება.

***კონსტატაცია*** – რაიმეს დადგენა, რისიმე არსებობის დადასტურება.

***კონსტიტუენტი*** – ერთეული.

***კონსტიტუცია*** – სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილებას, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფო ორგანოების შექმნისა და მოქმედების პრინციპებს, მოქალაქეთა ძირითად უფლება-მოვალეობებს.

# 3

***კონსტრუირება*** – აგება, დაგეგმვა.

***კონსტრუქტივიზმი*** – მოსწავლის აქტიური მონაწილეობა სწავლის პროცესში და მის მიერ ცოდნის კონსტრუირება.

***კონსული*** – უმაღლესი თანამდებობის პირი.

***კონსულტანტი*** – პირი, რომელიც რჩევა-დარიგებებს აძლევს ვისმე თავისი სპეციალობის მიხედვით.

***კონსულტაცია*** – სპეციალისტთა რჩევა-დარიგება გარკვეულ საკითხზე.

***კონტამინაცია*** – თხრობის დროს ამბების ერთმანეთში არევა.

***კონტექსტი*** – წერილობითი ტექსტის შინაარსობრივად დასრულებული ნაწყვეტი.

***კონტრარგუმენტი*** – არგუმენტის საწინააღმდეგო აზრი.

***კონტრაქტი*** – წერილობითი ხელშეკრულება, შეთანხმება.

***კონფედერაცია*** – გაერთიანება, კავშირი.

***კონფერენცია*** – სამეცნიერო კრება, თათბირი ამა თუ იმ საკითხის განსახილველად.

***კონფიდენციალური*** – გასაიდუმლოებული.

***კონფლიქტი*** – სიტუაცია, რომელშიც მხარეების პოზიციები შეუთავსებადი და შეურიგებელია.

***კონცენტრაცია*** – ყურადღების გამახვილება რაიმეზე; რისამე თავმოყრა.

***კონცეპტუალური*** – აზრობრივი; ჩამოყალიბებული.

# 3

***კონცეფცია*** – შეხედულებათა ჩამოყალიბებული სისტემა; ძირითადი აზრი რაიმეს შესახებ, ჰიპოთეზების ერთიანობა.

***კოოპერაციული*** – ერთობლივი.

***კოორდინატორი*** – გაერთიანების (კონკრეტული საქმიანობის ხელმძღვანელი) ცენტრალური ფიგურა.

***კორეგირებული*** – გამოსწორებული, გასწორებული.

***კორელაცია*** – ურთიერთდამოკიდებულება, შეფარდება.

***კორექტივი*** – ნაწილობრივი შესწორება ან შეცვლა რისამე.

***კორექცია*** – რისამე გასწორება, შესწორება.

***კრეატულობა*** – შემოქმედებითობა; ინდივიდის თვისება, შექმნას ორიგინალური ფასეულობები, მიიღოს არასტანდარტული გადაწყვეტილებები.

***კრედენციალი*** – იხ. კვალიფიკაცია.

***კრედიტი*** – სტუდენტის აკადემიური მუშაობის დაგეგმვისა და შეფასების სტანდარტული ერთეული.

***კრედიტების ტრანსფერი*** – **ECTS**–ის შემთხვევაში მობილური სტუდენტის მიერ მშობლიურ ან მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების გადატანა ურთიერთაღიარების მიზნით.

***კრედო*** – მსოფლმხედველობა, მრწამსი.

***კრებსითი*** – ჯამური.

***კრიპტოგრაფია*** – პირობითი საიდუმლო ნიშნებით წერა.

# 3

***კრიტერიუმი*** — საზომი; ნიშან–თვისება, რომლის საშუალებითაც რაიმეს აფასებენ, რისამე კლასიფიკაციას ახდენენ.

***კრიტიკული აზროვნება*** — ცნებათა ბევრნაირი თვალსაზრისით გააზრების, მათ არსში წვდომისა და მათი სხვა ცნებებთან შეპირისპირების კომპლექსური პროცესი.

***კურიკულუმი*** — გეგმარი; საგანმანათლებლო პროგრამა, გეზი, გზა განვლილი, გამოცდილება; სასწავლო პროგრამა.

***კურსდამთავრებული*** — პირი რომელმაც დაასრულა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, რაც შესაბამისი დიპლომით დასტურდება.

***კურტუაზული მწერლობა*** — ასკეტიზმის წინააღმდეგ მიმართული მწერლობა, რომლის ძირითად თემას წარმოადგენს სიყვარული და ქალის კულტი.

***კურტუაზული*** — თავაზიანი, ნატიფი.

# ლ

**ლაბილური** — ემოციურად არამდგრადი, მერყევი; მოძრავი.

**ლაბორანტი** — სამეცნიერო დაწესებულების მუშაკი, რომელიც სამეცნიერო ტექნიკური ხასიათის სამუშაოს ასრულებს.

**ლაბორატორია** — დაწესებულება, სადაც ეწევიან ექსპერიმენტულ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

**ლავირება** — მოხერხებულად სიძნელეების გვერდის ავლა.

**ლაკონური** — მოკლე, მკაფიო ნათქვამი.

**ლამენტაცია** — წუწუნი, ჩივილი.

**ლანდშაფტი** — რისამე საერთო ხედი.

**ლაფსუსი** — უნებლიე შეცდომა.

**ლეგალური** — ნებადართული, ღია.

**ლეგიტიმური** — კანონიერი.

**ლეიტმოტივი** — ძირითადი, სახელმძღვანელო აზრი, რომელიც ხაზგასმით მეორდება.

**ლექსიკა** — სიტყვათა მარაგი.

**ლექსიკონი** — წიგნი, რომელიც ანბანზეა გაწყობილი სიტყვების განმარტებით.

**ლექტორი** — პირი, რომელიც ლექციას კითხულობს.

**ლექცია** — საჯარო გამოსვლა; საგნის ზეპირად გადმოცემა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

**ლიდერი** — მეთაური, ხელმძღვანელი.



**ლიმიტი** — ნორმის ფარგლებში რაიმეთი სარგებლობა.

**ლიმიტირებული** — ზღვრული ნორმის დაწესება.

**ლიმონარი** — სამოთხე.

**ლინგვისტი** — ენათმეცნიერი.

**ლიტერი** — პირობითი ასოითი ნიშანი.

**ლიტერატურა** — ყოველგვარ წერილობით და ნაბეჭდ ნაწარმოებთა ერთობლიობა.

**ლიცენზია** — ნებართვა.

**ლიცეუმი** — საშუალო სასწავლებელი.

**ლოგიკა** — მსჯელობისა და დასკვნათა თანმიმდევრობა. მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ.

**ლოგიკური** — ლოგიკის კანონებზე დაფუძნებული.

**ლოგოგრაფია** — მეცნიერება სიტყვიერი ნიშნების შესახებ.

**ლოგოპედია** — მეცნიერება მეტყველების სხვადასხვა ნაკლისა და მათი მკურნალობის შესახებ.

**ლოზუნგი** — მოწოდება.

**ლოიალური** — ვინც წესიერად და კეთილსინდისიერად ექცევა ვისმე ან რასმე.

**ლოკალიზაცია** — რისამე ადგილის შემოფარგვლა.

**ლოკალური** — ადგილობრივი. განსაზღვრული ადგილისათვის დამახასიათებელი.



# მ

***მაგისტრატურა*** – უნივერსიტეტში მეორე სამეცნიერო ხარისხი.

***მაკეტი*** – წიგნის ან ჟურნალის წინასწარი ნიმუში, საცდელი ეგზემპლარი.

***მაკრო*** – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, რაც ნიშნავს დიდს.

***მანერა*** – მოქმედების, ქცევის თავისებურება, ჩვევა, თავის დაჭერის წესები, ყოფაქცევის ნორმები.

***მარიონეტი*** – თოჯინა; ვინც უსიტყვოდ ასრულებს სხვის ნება-სურვილს.

***მაჟორული სპეციალობა*** – ბაკალავრის ხარისხის ძირითადი პროგრამა.

***მასმედია*** – კომუნიკაციის მასობრივი საშუალებები (გაზეთი, რადიო, ტელევიზია).

***მასწავლებელი*** – სპეციალური განათლების მქონე პირი, რომელიც სკოლაში რაიმე საგანს ასწავლის.

***მატრიკული*** – სტუდენტის ჩათვლის წიგნაკი.

***მედიატორი*** – პირი, რომელიც დაპირისპირებული მხარეების დასახმარებლად სხვადასხვა საშუალებებს მიმართავს, მაგრამ იგი მათ მაგივრად გადაწყვეტილებას არასდროს იღებს.



***მედიაცია*** — პროცესი, როცა მესამე ნეიტრალური მხარე ორ ადამიანს, ან ადამიანთა ჯგუფს ეხმარება მოლაპარაკების გზით ურთიერთშეთანხმებას მიაღწიონ.

***მეთოდი*** — მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთმოქმედების ძირითადი საშუალება, რომელიც მიმართულია პედაგოგიური პროცესის კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისაკენ; მოვლენათა კვლევის, შეცნობის ხერხი.

***მეთოდიკა*** — პედაგოგიკის ნაწილი, რომელიც გადმოსცემს ამა თუ იმ საგნის სწავლების მეთოდებს.

***მეთოდოლოგია*** — მოძღვრება მეცნიერული კვლევის მეთოდების შესახებ.

***მენეჯმენტი*** — წარმოების მართვა; საგანმანათლებლო პროცესების, პრინციპების, მეთოდების, საშუალებების და მართვის ფორმების ერთობლიობა.

***მენტალური წარმოდგენა*** — ფსიქიკური წარმოდგენა.

***მენტორი*** — სპეციალურად მომზადებული მასწავლებელი, რომელიც ეხმარება უნივერსიტეტებს მასწავლებლის მომზადებაში სერთიფიკატის მისაღებად ან სტანდარტების ცენტრში წარსადგენი რეკომენდაციის მოსაპოვებლად.

***მენტორული*** — დამრიგებლური.

***მემორანდუმი*** — რაიმე დაწესებულების მოხსენებითი ბარათი ან ახსნა-განმარტებითი ცნობა; თვალსაზრისი.

***მემუარები*** — ავტორთა მოგონებანი ცხოვრებაში მომხდარი სხვადასხვა ამბის შესახებ.



**მეტაკოგნიტური** – უნარი – იაზროვნო აზროვნების შესახებ.

**მეტამორფოზა** – რისამე გარდაქმნა, ერთი ფორმის სხვა ფორმად გადაქცევა.

**მეტანია** – მუხლის მოდრეკა და წელში ღრმად მოხრა ლოცვა-ვედრების დროს.

**მეტრანპაჟი** – დამკაბადონებელი.

**მეცნიერება** – ცოდნის სისტემა ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ.

**მიზანი** – რაც უნდა განახორციელონ, რისკენაც მიისწრაფვიან, რასაც უნდა მიაღწიონ, მოქმედების შედეგის იდეალური, აზრობრივი განჭვრეტა.

**მიზანსწრაფულობა** – ადამიანის მტკიცე სწრაფვა მიზნის შესრულებისაკენ.

**მიკრო** – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, რაც აღნიშნავს ძალიან პატარას.

**მინორული სპეციალობა** – ბაკალავრის ხარისხის დამატებითი პროგრამა.

**მისტიფიკაცია** – განზრახ შეთხზული ტყუილი, მცდარი აზრი ან ცნება.

**მობილობა** – სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ აკადემიური ხარისხებისა და



კვალიფიკაციის ცნობით.

***მოდელი*** – ნიმუში, ეტალონი, სტანდარტი.

***მოდერნიზაცია*** – მოდერნიზება – რისამე შეცვლა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

***მოდიფიკაცია*** – მოდიფიცირება – საგნის ან მოვლენის ისეთი სახეცვლილება, რომელიც მის არსს არ ეხება.

***მოდულაცია*** – სიმწყობრე, მწყობრში გადასვლა.

***მოდული*** – სწავლების განცალკევებული და თანმიმდევრული მონათესავე დისციპლინების ბლოკი; საორგანიზაციო მეთოდური სასწავლო მასალის სტრუქტურა.

***მოდუსი*** – აზროვნების ნაირსახეობა; რისამე ხერხი, წესი.

***მოთელვა*** – შესავალი საქმიანობა გაკვეთილზე.

***მონიტორინგი*** – არსებული სიტუაციის ანალიზისა და შემოწმების საფუძველზე რეალური მონაცემების შეგროვება.

***მონოგრაფია*** – ვრცელი მეცნიერული ნაშრომი.

***მონოლოგი*** – ერთი ადამიანის მეტყველება.

***მონოტონური*** – ერთი დონის მეტყველება, უემოციო საუბარი.

***მორატორიუმი*** – საქმის გაგრძელება მთავრობის მიერ რაიმე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიუხედავად.

***მოტივაცია*** – ინდივიდუალური და ჯგუფური მიზნების შესაბამისობაში მოყვანა.





***მოტივი*** – რაიმე მოქმედების, საქციელის გამომწვევი მიზეზი, ის, რაც ადამიანის მოქმედებას იწვევს, რისთვისაც იგი სრულდება.

***მოტორული*** – მოძრაობითი.

***მსოფლმხედველობა*** – შეხედულებათა, წარმოდგენათა სისტემა სამყაროს და მის კანონზომიერებაზე, ბუნებასა და საზოგადოებრივ მოვლენებზე.

***მულტიკულტურული განათლება*** – სხვადასხვა კულტურისა და ენის მქონეთათვის მაღალი ხარისხის განათლებით უზრუნველყოფა.

# ნ

***ნარკომანია*** – ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარებისადმი ავადმყოფური მიდრეკილება.

***ნატურალისტი*** – ბუნების შემსწავლელი, ბუნებისმეტყველი.

***ნაციონალური*** – ეროვნული.

***ნებისყოფა*** – ადამიანის ფსიქიკის უნარი, რომელიც ვლინდება შეგნებულ, მიზანმიმართულ მოქმედებათა რეგულაციაში და გულისხმობს ძალისხმევას.

***ნეგატიური*** – უარყოფითი.



***ნეპოტიზმი*** — თანამდებობის პირთაგან ახლობლების მფარველობა, მათთვის თანამდებობის დარიგება.

***ნიველირება*** — გათანაბრება.

***ნიშანი*** — რიცხობრივი ან ხარისხობრივი საზომი ერთეული, რომელიც გამოიყენება ინდივიდუალური შეფასებისათვის.

***ნიჭი*** — ბუნებრივ მონაცემთა ერთიანობა, რომელიც ამა თუ იმ მოქმედების ათვისების სიადვილესა და შესრულებაში იჩენს თავს.

***ნიჰილიზმი*** — ყველაფრის ხელაღებით უარყოფა.

***ნოვატორობა*** — პედაგოგიურ პროცესში ახალი, პროგრესული იდეების, ხერხებისა და სიახლეების დანერგვისა და განხორციელებისათვის მიმართული მოქმედება.

***ნოვაცია*** — განახლება, ცვლილება.

***ნომენკლატურა*** — ტერმინთა და სახელწოდებათა სია, რომლებიც იხმარება მეცნიერების, ხელოვნების, წარმოების თუ სხვ. ამა თუ იმ დარგში.

***ნომინალური*** — ფიქტიური, ვინც ან რაც არ ასრულებს თავის დანიშნულებას.

***ნონსენსი*** — უაზრობა.

***ნორმატივი*** — შესასრულებელი მინიმუმი.

***ნოტაცია*** — წერილობითი პირობითი ნიშნების სისტემა; დარიგება, ჭკუის სწავლება.



# ო

***ობიექტი*** — ჩვენს გარეშე და ჩვენი ცხოვრებისაგან დამოუკიდებლად არსებული გარე სამყარო, მატერიალური სინამდვილე, მოვლენა, საგანი, პირი, რომლისკენაც არის მიმართული ვისიმე ყურადღება.

***ობიექტური*** — სამართლიანი, მიუკერძოებელი.

***ობსერვაცია*** — დაკვირვება.

***ობსკურანტი*** — სწავლა-განათლების მტერი, პროგრესისადმი მტრულად განწყობილი.

***ობსტრუქცია*** — დაბრკოლება, შეფერხება.

***ოდიოზური*** — არასასურველი.

***ოთხთავი*** — სახარება (მათე, მარკოზი, ლუკა, იოანეს მიერ დაწერილი წიგნი).

***ონომასტიკა*** — ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს საკუთარ სახელებს.

***ონტოგენეზი*** — ორგანიზმის ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური განვითარება ჩასახვიდან სიცოცხლის დასასრულამდე.

***ოპერანტული*** — იხ. ინსტრუმენტალური.

***ოპოზიცია*** — დაპირისპირება.



***ოპონენტი*** – პირი, რომელიც კამათში, პაექრობაში გამოდის, ვისიმე მოსაზრების წინააღმდეგ.

***ოპტიმალური*** – მოხერხებული, ყველაზე ხელსაყრელი, საუკეთესო.

***ორატორი*** – მჭევრმეტყველი.

***ორგანიზატორი*** – ვისაც ორგანიზაციული მუშაობის უნარი შესწევს.

***ორგანიზაცია*** – სისტემაში მოყვანა, მოწესრიგება.

***ორგანიზაციული მოქმედება*** – პედაგოგიური პროცესის განხორციელებისათვის პირობების შესაქმნელი მოქმედება.

***ორდინალური*** – ჩვეულებრივი.

***ორიგინალი*** – დედანი.

***ორიგინალური*** – არაჩვეულებრივი, თვითმყოფი, თავისებური.

***ორიენტაცია*** – გარემოცველ პირობებში რაიმე საკითხის გარკვევა.

***ორიენტირება*** – გეზის, მიმართულების განსაზღვრა.

# 3

# პ

***პათოსი*** – ძლიერი, ექსპრესიული განცდის გადმოცემა.

***პანსოფია*** – ენციკლოპედიური სწავლება.

***პარადიგმა*** – საზოგადოდ დადგენილი ნიმუში, მოდელი, რომლითაც უნდა გადაწყდეს პრობლება; პედაგოგიკაში განათლების შინაარსის, ორგანიზაციის ფორმების, სწავლებისა და აღზრდის საშუალებათა ორგანიზებაში წამყვანი მიდგომა.

***პარადოქსული*** – უჩვეულო აზრი, მსჯელობა, რომელიც საღი აზრის საწინააღმდეგოა.

***პარამეტრი*** – რაიმე საგნის ან მოვლენის ძირითადი თვისებების დამახასიათებელი სიდიდე; ხარისხი; განმსაზღვრელი.

***პედაგოგი*** – მასწავლებელი, აღმზრდელი პირი, რომლის პროფესიად ბავშვის აღზრდა-განათლება ითვლება.

***პედაგოგიკა*** – მეცნიერება აღზრდის, სწავლების, განათლების და განვითარების შესახებ.

***პედაგოგიური ხელოვნება*** – პედაგოგიური უნარების მაღალი დონე, დაფუძნებული პედაგოგიურ რწმენაზე.

***პედაგოგიური მოდელირება*** – მოდელის შექმნის პროცესი, პედაგოგიური სისტემის შექმნის მიზანთა, პროცესთა ან სიტუაციათა დამუშავება და მათი მიღწევის ძირითადი გზების განსაზღვრა.

# 3

**პედაგოგიური პროექტირება** – შექმნილი მოდელის შემდგომი დამუშავება-სრულყოფა და მისი პრაქტიკული გამოყენების დონემდე მიყვანა.

**პედაგოგიური კონსტრუირება** – შექმნილი პროექტის შემდგომი დამუშავება-სრულყოფა და მისი პრაქტიკული გამოყენების დონემდე მიყვანა.

**პედანტი** – ფორმალური წესების დამცველი.

**პერიფრაზირება** – საკუთარი სიტყვებით აზრის გამეორება, საკუთარი წარმოსახვით რისიმე გადმოცემა.

**პერმანენტული** – უწყვეტი.

**პერსევერაცია** – ერთი და იგივე წარმოდგენის და სიტყვის აკვიატებული გამეორება.

**პერსონიფიკაცია** – გაპიროვნება.

**პერტურბაცია** – არევ-დარევა, წესრიგის მოშლა.

**პერცეფცია** – აღქმა; სულიერ სამყაროში წვდომა; ობიექტური სამყაროს სინამდვილის ასახვა გრძნობის ორგანოების საშუალებით; ახალი შთაბეჭდილების მიღება.

**პეტიცია** – წერილობითი კოლექტიური თხოვნა ან შუამდგომლობა ხელისუფლების ორგანოებისადმი.

**"პიე-რევიუ"** – კოლეგების შემოწმება წელიწადში ერთხელ მაინც.

**პილოტირება** – წინასწარი გამოცდა, აპრობაცია.

# 3

**პილოტური სკოლა** – ექსპერიმენტული სკოლა, სადაც ხდება გარკვეული სასწავლო პროგრამების აპრობირება.

**პიროვნება** – გარკვეული თვისებების მქონე ცალკე ადამიანი მისი სოციალური არსით.

**პლაგიატობა** – სხვისი ნაშრომის მითვისება.

**პოზიტიური** – დადებითი.

**პოზნოტონიკური** – ტიპი, რომელსაც ნორმალური პოზის დაკავება არ შეუძლია.

**პოლიგლოტი** – სადუნი, სხვადასხვა ენის მცოდნე ადამიანი.

**პორტფოლიო** – მოსწავლის ან სტუდენტის პირადი საქმე, რომელიც მოიცავს სწავლის პირველი დღიდან ბოლომდე მათ მიერ შესრულებულ სამუშაოებს, დავალებებს და შეფასებებს.

**პოსტულატი** – საყრდენი, ამოსავალი დებულება, რომელსაც არ სჭირდება დამტკიცება.

**პრაგმატიზმი** – მოქმედების ფილოსოფია, რომელსაც პიროვნების მიერ სინამდვილის შემეცნება ადამიანის ინდივიდუალურ გამოცდილებამდე, პრაქტიკამდე დაჰყავს; პრაქტიკული ცოდნისა და ნორმების დაუფლება.

**პრაქსისი** – პრაქტიკაზე დაფუძნება.

**პრაქტიკა** – თეორიული ცოდნის გამოყენება საქმეში; სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილი.



**პრეამბულა** — რაიმე მნიშვნელოვანი აქტის, საერთაშორისო შეთანხმების, ხელშეკრულების, ნაშრომის შესავალი.

**პრევენცია** — წინასწარი ზომების მიღება რისამე თავიდან ასაცილებლად.

**პრეზენტაბელური** — წარმოსადეგი.

**პრეზენტაცია** — პირველი წარდგენა, წარმოდგენა.

**პრეზუმცია** — ვარაუდზე დამყარებული მოსაზრება.

**პრერეკვიზიტი** — აუცილებელი წინაპირობა.

**პრეროგატივა** — უპირატესობა, განსაკუთრებული უფლება.

**პრეცედენტი** — შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს ნიმუშს ან გამართლებას შემდეგდროინდელი მსგავსი შემთხვევებისათვის.

**პრინციპი** — რომელიმე თეორიის, მოძღვრების ძირითადი ამოსავალი დებულება, სახელმძღვანელო იდეა.

**პრინციპულობა** — შეხედულებებისა და რწმენის სიმტკიცე, რომელიც ღრმა ცოდნას ემყარება.

**პრიმატი** — პირველობა.

**პრობლემა** — რთული საკითხი, რომელიც ახსნას, შესწავლას ან გამოკვლევას საჭიროებს.

**პროგნოზი** — პიროვნების განვითარებაში, განათლებასა და ფორმირებაში სამომავლო ცვლილებების განჭვრეტა.

**პროგრამა** — მომავალი მუშაობის გეგმა.

**პროდუქტიული** — ნაყოფიერი.

# 3

***პროექტი*** — რაიმე დოკუმენტის, აქტის, დადგენილების წინასწარი, სავარაუდო ტექსტი; მოკლევადიანი გეგმა (6 თვეზე ნაკლები პერიოდისათვის).

***პროექტორი*** — ტექნიკური საპროექციო აპარატი ეკრანზე გადიდებული გამოსახულების მისაღებად.

***პროვაიდერი*** — მომმარაგებელი; ვინც უზრუნველყოფს რაიმეს.

***პროვოცირება*** — გამოწვევა; გაკვეთილის ფაზა, როცა სწავლა/სწავლების პროცესში მოწაფეებს მოეთხოვებათ იმის გააზრება, რაც უკვე იციან განსახილველი საკითხის შესახებ. ამ საკითხზე კითხვების წამოჭრა და მისი შესწავლის მიზნად დასახვა.

***პროლოგი*** — წინათქმა.

***პროპედევტიკა*** — რაიმე მეცნიერების შესავალი კურსი.

***პროფესიოგრამა*** — პედაგოგიურ ფსიქოლოგიურ ფუნქციათა ნუსხა, რომელიც აუცილებელია პროფესიონალური მოღვაწეობისათვის და, რომლის საფუძველზეც ხდება პროფესიონალური ვარგისიანობის განსაზღვრა.

***პუბლიკაცია*** — ნაშრომთა გამოქვეყნება.



# ჟ

***ჟამგულანი*** – საგალობელთა კრებული.

***ჟამთააღმწერლობა*** – მემატიანე, ისტორიულ მოვლენათა აღწერა.

***ჟანრი*** – ხელოვნების რაიმე დარგის, ნაწარმოების სახეობა სტილისტიკური და სიუჟეტური ნიშნებით.

***ჟარგონი*** – თავისებური სიტყვები და გამოთქმები, რომლებსაც ხმარობენ ვიწრო სოციალურ ჯგუფში.

***ჟესტი*** – მოძრაობა, რაც თან ახლავს მეტყველებას.

***ჟესტიკულაცია*** – მეტყველების დროს ჟესტების გამოყენება.

***ჟიური*** – სპეციალისტების ჯგუფი, რომელიც დანიშნული ან არჩეულია კონკურსზე პრემიების ან ჯილდოების მისანიჭებლად.

***ჟურნალი*** – პერიოდული გამოცემა; მასობრივი პროპაგანდის ერთ-ერთი საშუალება, დავთარი ან რვეული რისამე პერიოდულად ჩასაწერად.

***ჟურნალისტი*** – პროფესიონალი ლიტერატურული მუშაკი, რომელიც ჟურნალისტიკას მისდევს.

***ჟურნალისტიკა*** – საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთი სახე აქტუალური ინფორმაციის შეკრების, დამუშავებისა და გავრცელებისათვის მასობრივი კომუნიკაციების სხვადასხვა არხის (პრესა, საინფორმაციო სააგენტოები, რადიო, ტე-





ლევიზია, კინო და სხვ.) გამოყენების საშუალებით.

***ჟღალა ფერები*** — ცისარტყელას ფერები.

# რ

***რადიკალი*** — რადიკალიზმის მომხრე.

***რადიკალიზმი*** — გადამჭრელი ზომების მიღება საკითხის გადაწყვეტისას.

***რაკურსი*** — შემოკლება, შემცირებული ფორმა.

***რანჟირება*** — დახარისხება; ერთგვარი თანმიმდევრობის მიხედვით განლაგება.

***რატიფიცირება*** — საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების მიერ.

***რაფინირებული*** — დახვეწილი, გაწმენდილი.

***რაციონალური*** — გონივრული, მიზანშეწონილი.

***რეალური*** — ნამდვილად არსებული, ჭეშმარიტი.

***რეაქცია*** — რაიმე ზემოქმედების საპასუხო მოქმედება.

***რეაქციონერი*** — სოციალური და კულტურული პროგრესის მტერი.

***რებელიონიზმი*** — ამბოხება.

***რეგალია*** — წარჩინების ნიშანი.



***რეგენერაცია*** — აღდგენა.

***რეგისტრაცია*** — სიაში ჩაწერა, აღნუსხვა.

***რეგისტრი*** — სია, ჩასაწერი დავთარი.

***რეგლამენტი*** — რისამე ზუსტად განსაზღვრა, დადგენა.

***რეგრესი*** — უკუსვლა, დაქვეითება.

***რეგულარული*** — სისტემატური, სწორად მიმდინარე.

***რედაქტირება*** — ხელნაწერი ტექსტის გასწორება.

***რედაქტორი*** — გამოცემის ხელმძღვანელი.

***რეესტრი*** — მაჩვენებლი, სია, ნუსხა, აღწერა.

***რევერსია*** — მიმართულების შეცვლა.

***რეზერვი*** — ძალები, საშუალებები, მარაგი.

***რეზიუმე*** — შრომის, მოხსენების მოკლე შინაარსი, დასკვნა.

***რეზონანსი*** — გამოხმაურება, გამოძახილი.

***რეზონი*** — აზრი.

***რეიტინგი*** — შეფასება.

***რეკაპიტულაცია*** — განმეორება, კვლავწარმოქმნა.

***რეკაპიტულაციის თეორია*** — სწავლებაში, მოწაფის შემეცნებაში მეორდება ყველაფერი, რაც ნიშანდობლივია მეცნიერული კვლევისათვის.

***რეკლამა*** — განცხადება, პლაკატი მიზიდვის მიზნით.

***რეკომენდაცია*** — დახასიათება.

***რეკონსტრუირება*** — გარდაქმნა გაუმჯობესების მიზნით.

***რეკონსტრუქცია*** — იხ. რეკონსტრუირება.

***რეკურენტულობა*** — რეგულარული გამეორება.



***რელაქსაცია*** – მოდუნება; განტვირთვა.

***რელევანტურობა*** – მორგებულობა, თანაფარდობა.

***რემინისენცია*** – ბუნდოვანი მოგონება; წარსული მეხსიერებიდან ინფორმაციის ამოტივტივება.

***რენტაბელური*** – სარგებლიანი.

***რეორგანიზაცია*** – დაწესებულების, ორგანიზაციის სტრუქტურის შეცვლა, გარდაქმნა.

***რეპრეზენტანტი*** – წარმომადგენელი.

***რეპრეზენტატული*** – წარმომადგენლობითი.

***რეპროდუქცია*** – რისამე ხელახალი წარმოება, გამეორებითი პროცესი; მეხსიერებაში შემონახული რისამე აღდგენა-გახსენება.

***რესურსი*** – რისამე მარაგი.

***რესპექტაბელური*** – ღირსეული, პატივსაცემი, მისაღები.

***რესპოდენტი*** – ცდისპირი.

***რეტრიატიზმი*** – გაუცხოვება.

***რეტროგრადი*** – რეაქციონერი, პროგრესის მოწინააღმდეგე.

***რეტროსპექტული*** – წარსულისკენ მიმართული, წარსულის განხილვისადმი მიძღვნილი.

***რეფერატი*** – მოკლე, წერილობითი ან ზეპირი მეცნიერული ნაშრომის გადმოცემა.

***რეფერენდუმი*** – საყოველთაო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად.

***რეფერენტი*** – პირი, რომელიც რეფერატს კითხულობს.



***რეფლექსია*** — თვითდამკვიდრების სახე, საკუთარი აზრების და განცდების ანალიზი, ჩაფიქრება, საკუთარი მოქმედებისა და ფსიქიკური მდგომარეობის ანალიზი.

***რეფორმა*** — გარდაქმნა, შეცვლა რისამე.

***რეფორმატორი*** — რეფორმის გამტარებელი.

***რეფორმირება*** — რეფორმის გზით შეცვლა.

***რექტორი*** — უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

***რეცენზენტი*** — რეცენზიის ავტორი.

***რეცენზია*** — გარჩევა, განხილვა რისამე და კრიტიკული შეფასება.

***რეციპროკული სწავლება*** — ურთიერთსწავლება.

***რიტუალი*** — წეს-ჩვეულებათა და ქცევათა ერთობლიობა.

***რიტორიკა*** — მჭევრმეტყველება.

***რუბრიკა*** — სათაური.

***რუტინა*** — სიახლის შიში.

***რუტინიორი*** — სიახლის გრძნობას მოწყვეტილი ადამიანი.

***რწმენა*** — რისამე სარწმუნოდ მიჩნევა, დაჯერება, დარწმუნება რამეში; მრწამსი, მსოფლმხედველობა.



# ს

***საავტორო სკოლა*** – სკოლა, რომელიც შეიმუშავებს და ახორციელებს ინდივიდუალურ პროგრამას, საჭიროებისამებრ ახორციელებს საგნობრივ ცვლილებებს.

***საბაზისო განათლება*** – ელემენტარული განათლება; საწყისი, საძირკველი განათლებისა.

***საკრალური*** – ღვთიური.

***საპილოტე*** – საცდელი.

***სანქცია*** – დაკანონება, დაწესება.

***სასწავლო კურსი*** – უმაღლეს სასწავლებელში სწავლების პერიოდი.

***სასწავლო პროგრამა*** – თითოეულ სასწავლო საგანში ასათვისებელი ცოდნის შინაარსი და უნარჩვევათა მოცულობა. წლების მიხედვით მათი განაწილება.

***სახარება*** – ბიბლიის ნაწილი (ახალი აღთქმის პირველი ოთხი წიგნი), რომელშიც აღწერილია იესო ქრისტეს ცხოვრება და მოძღვრება; ოთხთავი.

***სელექცია*** – არჩევა.

***სეკვენცია*** – ინსტრუქციის ერთი პატარა, აზრის მქონე ნაწილი.

***სემესტრი*** – სასწავლო წლის ნახევარი.



***სემინარი*** – სტუდენტთა ჯგუფური მეცადინეობა რომელიმე დისციპლინაში, სასწავლო პროცესის ფორმა, რომელიც აგებულია ხელმძღვანელის მიერ მითითებულ დავალებათა შესაბამისად და რომელიც ფორმდება მოხსენების ან რეფერატის სახით.

***სენსიტიური*** – მგრძნობიარე; შეგრძნებითი.

***სენსომოტორული*** – შეგრძნებით-მგრძნობელობით მამოძრავებელი.

***სენსორული*** – გრძნობის ორგანოებთან დაკავშირებული, მგრძნობელობითი.

***სენტენცია*** – დამრიგებლური აზრი, მორალური, ზნეობრივი რჩევა.

***სენტიმენტალიზმი*** – ზედმეტი გრძნობიერება, გადაჭარბებული გულჩვილობა.

***სეპარაცია*** – დაყოფა, დაცალკევება.

***სერთიფიკატი*** – კვალიფიკაცია, რომლითაც დასტურდება უმაღლესი განათლების პროგრამის წარმატებული დასრულება. დიპლომს გასცემს ლიცენზირებული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია.

***სილაბუსი*** – წყვილი; ხელშეკრულების, დიალოგის ერთ-ერთი ფორმა პედაგოგსა და სტუდენტს შორის; პროგრამის სრულყოფილი აღწერა.

***სინერგეტიკა*** – ერთობლივი, შეთანხმებულად მოქმედი სისტემა.

***სინოპსია*** – ასოციაციები, კავშირები სმენისა და მხედველობის აღქმებს შორის.



**სინქრონული** – ერთდროულად მიმდინარე; თანამედროვე (მაგ.: სინქრონული თარგმანი) პროცესის ზუსტი დამთხვევა დროში.

**სისტემა** – ორგანიზაციულად გაერთიანებულ დაწესებულებათა ერთობლიობა.

**სიტუაცია** – შექმნილი პირობების ერთობლიობა; გარემოება, მდგომარეობა.

**სკოლა** – სასწავლო დაწესებულება, რომელიც მოწოდებულია დააკმაყოფილოს პიროვნების, სახელმწიფოს და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნები.

**სკრინინგი** – სწრაფი ტესტირება.

**სკრუპულოზური** – ზედმიწევნით ზუსტი, დაწვრილებითი.

**სოკრატული საუბარი** – ევრისტიკული საუბარი, კითხვა-პასუხის გზით ჭეშმარიტების დადგენა.

**სომატური** – სხეულთან დაკავშირებული.

**სოციალიზაცია** – ინდივიდის მიერ საზოგადოებაში მიღებული ნორმების ათვისება.

**სოციოარბიტრალური ცოდნა** – ფაქტობრივი, ანუ აქტიური სწავლებით მიღებული ცოდნა.

**სოციოკულტურული** – ყოფიერებაზე არსებული კულტურის მორგება სოციუმზე.

**სოციოლოგია** – მეცნიერება საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების შესახებ.

**სოციუმი** – სოციალური გარემო, რომელშიც ადამიანს უხდება ცხოვრება სიცოცხლის მანძილზე.



***სპეციალობა*** – კვალიფიკაციის მთავარი დისციპლინების ან საგნის არე.

***სპეციფიკური*** – გარკვეული საგნის ან მოვლენისათვის დამახასიათებელი, განსაკუთრებული, თავისებური.

***სტაბილური*** – უცვლელი, მუდმივი.

***სტანდარტი*** – ტიპობრივი ნიმუში, რასაც ზომის, ფორმის, ხარისხის მიხედვით უნდა შეესაბამებოდეს რაიმე საზომი; ნიმუში, ნორმა.

***სტატია*** – მცირე მოცულობის პუბლიცისტური ან მეცნიერული ნაშრომი.

***სტატუსი*** – მდგომარეობა.

***სტენოგრამა*** – სტენოგრაფიის საშუალებით ჩაწერილი მოხსენება.

***სტენოგრაფია*** – ზეპირი მეტყველების სწრაფად ჩაწერა.

***სტერეოტიპი*** – საზოგადოებაში მიღებული უცვლელი ფორმა.

***სტიმული*** – რაიმე მოქმედებისათვის აღმძრვრელი ბიძგი, მიზეზი.

***სტოქასტიურობა*** – შემთხვევითობა; პედაგოგიური პროცესის ალბათობა.

***სტრატეგია*** – საგანმანათლებლო პროცესში წინასწარ მოფიქრებული გეგმიური კომბინაციებით მოქმედება.

***სტუდენტი*** – პირი, რომელიც კანონით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.



**სუბსტანცია** – რისამე საფუძველი, არსი.

**სუბსტიტუცია** – ერთი რაიმეს შეცვლა მეორეთი.

**სუგესტური** – მასწავლებლის საქმიანობით მოსწავლის შთაგონება.

**სუპერვაიზერი** – მეთოდისტ-კონსულტანტი, რომელიც ამუშავებს ზოგად რეკომენდაციებს და მოთხოვნებს პროგრამებისათვის.

**სურდოპედაგოგიკა** – მეცნიერება ყრუ და სმენანაკლები ბავშვის აღზრდა-განათლების შესახებ.

**სუფერენტული** – ის, რომელიც ზემოქმედებას განიცდის და ზარალდება.

**სქემა** – გამარტივებული ნახაზი, რომელიც რისამე სისტემას გამოხატავს; წინასწარი მონახაზი, გეგმა.

**სქოლასტიკა** – ფორმალური ცოდნა, უსაგნო მსჯელობა, ასოკირკიტობა.

**სქოლიო** – შენიშვნა, განმარტება გვერდის ბოლოში.

**სწავლა** – სუბიექტის აქტივობა, როცა ხდება კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნისა და უნარ–ჩვევების დაუფლება.

**სწავლება** – პიროვნებათშორის ინტერაქტიური საქმიანობა, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.

**სწავლება/სწავლა** – ცოდნის შეძენა, განათლების მიღება, პედაგოგიური პროცესის ის ნაწილი, როცა პიროვნების ფორმირება ხდება შემეცნებითი პროცესებით მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

# ტ

**ტაბუ** – მოქმედების, სიტყვის ან სხვ. აკრძალვა.

**ტაბულა** – ცხრილი, ნუსხა.

**ტავტოლოგია** – ერთი და იგივე განსაზღვრების, მსჯელობის გამეორება სხვა, აზრობრივად ახლო მდგომი სიტყვებით.

**ტაქსონომია** – რიგის მიხედვით განლაგების კანონი; ზუსტი პედაგოგიური სისტემის აგების პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს თანმიმდევრულო მოქმედების წესს და გზას მარტივიდან რთულისაკენ.

**ტემპერამენტი** – ფსიქიკური წყობის თანდაყოლილი თავისებურებანი, რომლებიც ვლინდება გარე სამყაროსთან ადამიანის ურთიერთობაში, მის ქცევაში.

**ტენდერი** – კონკურსი, შეჯიბრი, რომლის მიზანია გამოავლინოს საუკეთესო მონაწილენი, ნამუშევრები, პროექტები და ა. შ.

**ტერმინი** – რამე დარგის გარკვეული ცნების სიტყვა.

**ტესტი** – მოკლე დროში ჩასატარებელი სტანდარტიზირებული გამოცდა.

**ტექნოკრატიული მსოფლმხედველობა** – სოციოლოგიური კონცეფცია, რომლის თანახმადაც აუცილებელია პოლიტიკური ხელისუფლების სათავეში ტექნიკური სპეციალისტის მოსვლა.

***ტექნოლოგია*** — გარკვეული წესითა და თანმიმდევრობით განხორციელებული ოპერაციების ერთობლიობა.

***ტიპი*** — ნიმუში, მოდელი, ფორმა.

***ტიპიკონი*** — საეკლესიო წესების კრებული.

***ტირადა*** — უჩვეულო ტონით წარმოთქმული მაღალფარდოვანი ფრაზა.

***ტოლერანტი*** — შემწყნარებელი (სხვადასხვა რელიგიის, კულტურის ეროვნების).

***ტოტალიტარული*** — ავტორიტარული დიქტატურა.

***ტოტალური*** — საყოველთაო, ყოვლისმომცველი.

***ტრანსი*** — ფსიქიკური აშლილობის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც ადამიანს ცნობიერება დაბნეული აქვს და ავტომატურად ასრულებს მოქმედებას.

***ტრანსკრიპტი*** — სტუდენტის პროგრესისა და მიღწევების ოფიციალური ჩანაწერი ან ანალიზი.

***ტრანსმისიული სკოლა*** — ტრადიციული სკოლა, ძველი სკოლა.

***ტრანსფერი*** — გაცვლა, გადატანა; მოსაზრების გამოთქმა სხვა სიტყვებით.

***ტრანსფორმაცია*** — ტრანსფორმირება—გარდაქმნა, სახეცვლილება.

***ტრაფარეტული*** — მობველებული, შაბლონური.

***ტრენინგი*** — წვრთნა; ინტერაქტიური სწავლების ფორმა, რომლის მიზანია პიროვნების კომპეტენტური





განვითარება; ერთ-ერთი საჭირო მეთოდი მასწავლებლის პროფესიული მომზადებისათვის; კვალიფიკაციის ამაღლება.

***ტრიადა*** — იდეის სამსაფეხურიანი განვითარება; სამეული.

***ტრივიალური*** — სიახლეს, ორიგინალობას მოკლებული.

***ტრილოგია*** — სამი ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები, რომელთაც ერთი დედააზრი აერთიანებს.

***ტრიმესტრი*** — სასწავლო წლის სამ ნაწილად დაყოფა.

***ტუტორიუმი*** — გამოცდილი სპეციალისტი, რომელიც დახმარებას უწევს ახალბედას; რეპეტიტორი.

# უ

***უვრაჟი*** — დიდი ფორმატის მდიდრული, უხვად დასურათებული გამოცემა.

***უზურპაცია*** — სხვისი უფლებების უკანონოდ ხელში ჩაგდება-მითვისება.

***უზუსი*** — ჩვევა, ჩვეულება.

***ულტიმატუმი*** — კატეგორიული მოთხოვნა.

***უმაღლესი განათლება*** — სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს



პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა დარგში კვალიფიცირებული კადრების მომზადებას.

***უნარი*** – ათვისებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებათა ფლობა.

***უნარ-ჩვევები*** – სწავლის პროცესში ფორმირებული შესაძლებლობები, რომელიც შეიძლება დაიყოს "საგნობრივად" და "ზოგადად".

***უნია*** – გაერთიანება, კავშირი.

***უნივერსიტეტი*** – მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელსაც აქვს სამივე აკადემიური ხარისხის მინიჭების უფლება.

***უნიკალური*** – ძალიან იშვიათი. განუმეორებელი.

***უნიფიკაცია-უნიფიცირება*** – საერთო ნორმაზე დაყვანა, გაერთიანება, მაგ.: ტერმინების უნიფიკაცია.

***ურბანიზაცია*** – გაერთიანება.

***უტილიტარიზმი*** – იდეალისტური ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ადამიანის მორალს საფუძვლად უდევს სარგებლიანობის პრინციპი.

***უტილიტარული*** – პრაქტიკული, გამოყენებითი.

***უტოპია*** – რეალურ საფუძველს მოკლებული, განუხორციელებელი.

***უტრირება*** – რაიმეს გაზვიადება, უკიდურესობამდე მიყვანა და დამახინჯება.



# ფ

**ფავორიტი** — ადამიანი, რომელიც სარგებლობს მაღალი თანამდებობის მქონე გავლენიანი პირის კეთილგანწყობით.

**ფაზა** — სასწავლო პროცესის ცალკეული სტადია.

**ფაილი** — გვერდი.

**ფაკულტატივი** — სწავლების ერთი სახე, რომელიც სპეციალურადაა შერჩეული სამეცნიერო-თეორიული ცოდნისა და პრაქტიკის გასაღრმავებლად, ტარდება მოსწავლეთა ინტერესების გასაფართოებლად სპეციალური პროგრამით და გარკვეული სასწავლო დრო ეთმობა.

**ფაკულტეტი** — უმაღლესი საგანმანათლებლო ერთეული, სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა და მასწავლებელთა აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

**ფანატიზმი** — უკიდურესი გატაცება.

**ფასეულობა** — ღირებულება (მატერიალური, კულტურული თავისუფლება, დემოკრატიზმი, ღირსება, სინდისი, სიკეთე, სიყვარული, ქველმოქმედება...).

**ფატალური** — გარდაუვალი.

**ფეტიში** — ბრმა რწმენა, ბრმად თაყვანისცემა, გაღმერთება.



**ფიდბეკი** — გამოხმაურება, პროცესი, რომლის დროსაც ინდივიდს აცნობენ მის მიერ შესრულებული სამუშაოს ძლიერ და სუსტ მხარეებს საქმის გასაუმჯობესებლად.

**ფილანთროპიზმი** — პედაგოგიური მიმართულება, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანურობის, ადამიანის სიყვარულის აღზრდას.

**ფილიგრანული** — მეტისმეტად სუფთა, ფაქიზად ნაკეთები (ფილიგრანული ენა — მეტისმეტად დახვეწილი ენა).

**ფილოსოფია** — მეცნიერება ბუნების, ადამიანის, საზოგადოების, აზროვნების განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ.

**ფინანსები** — ფულადი სახსრები.

**ფიქციური** — ყალბი, მოსაჩვენებელი.

**ფლაგმანი** — მოწინავე, ლიდერი.

**ფლუქტუაცია** — მერყეობა, რაიმე სიდიდის შემთხვევითი გადახრა საშუალო მნიშვნელობიდან.

**ფოკუსირებადი შეკითხვა** — ფოკუსი, მინიშნება ნეგატიურ პრობლემაზე შეკითხვის სახით, რომელიც დაგვეხმარება პრობლემის გამომწვევი მიზეზის დადგენაში.

**ფოლკლორი** — ხალხური ზეპირსიტყვიერება.

**ფორა** — რაიმე უპირატესობის მიცემა სუსტ მოწინააღმდეგეზე.



***ფორმირება*** — ჩამოყალიბება; პიროვნების სრულყოფა სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, სტაბილიზაციის გარკვეული დონის მიღწევა, თვისებათა შეძენა, გარკვეული შედეგის მიღწევა.

***ფორმულირება*** — ზუსტად გამოთქმა.

***ფორსირება*** — რაიმეს დაჩქარება, გაძლიერება.

***ფორს-მაჟორული*** — საგანგებო სიტუაცია; ვითარება, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია.

***ფრაგმენტული*** — არასრული, ნაწყვეტების სახით არსებული.

***ფრაზა*** — დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა.

***ფსალმუნი*** — რელიგიური შინაარსის სიმღერა—საგალობელი; ფსალმუნთა კრებულს ქართულად "დავითნი" ჰქვია.

***ფსიქიკა*** — ტვინის განსაკუთრებული ფუნქცია, რაც გამოიხატება გარე სამყაროს ასახვაში, ადამიანის სულიერ ძალთა, შესაძლებლობათა ერთობლიობაში.

***ფსიქოთერაპია*** — მკურნალობა ფსიქიკური ზემოქმედების მეთოდით.

***ფსიქოლოგია*** — მეცნიერება ადამიანის ფსიქიკური მოქმედების კანონზომიერების, განვითარებისა და ფორმების შესახებ.

***ფუნდამენტური*** — ღრმაშინაარსიანი, საფუძვლიანი.

***ფუნქცია*** — შესასრულებელი მოვალეობა.





***ფუტურიზმი*** – წარსულის ტრადიციების უარყოფა; აზროვნების ალოგიკურობა და აბსურდულობა.

# ქ

***ქარაქტეროლოგია*** – ფსიქოლოგიური მოძღვრება ხასიათის არსის, სტრუქტურისა და ჩამოყალიბების თავისებურებათა შესახებ.

***ქარტია*** – სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ზოგადი დოკუმენტის სახელწოდება.

***ქოლერიკული*** – ფიცხი, ენერგიული ტემპერამენტის ტიპი.

***ქორო*** – გუნდი.

***ქრონიკა*** – დროსთან დაკავშირებული, მიმდინარე ცხოვრების ამსახველი ახალი ამბები.

***ქრონიკები*** – ქვეყნის ისტორიულ ვითარებათა თანმიმდევრული ჩანაწერები.

***ქრონოლოგია*** – ისტორიული მოვლენების თანმიმდევრობა დროის მიხედვით.

***ქცევა*** – აქტი, რომელიც სუბიექტის ცალკეული ფსიქიკური და მოტორული პროცესების ურთიერთობას წარმოადგენს გარემოსთან.



## ღ

**ღაზელი** – აღმოსავლური ლექსის ერთ-ერთი სახეობა.

## ყ

**ყურადღება** – ცნობიერების ის არე, სადაც ფსიქიკური პროცესები ყველაზე ნათლადაა მოცემული.

**ყურანი** – წიგნი, რომელშიც გადმოცემულია მუსლიმანური რელიგიის დოგმები და დებულებები.

## შ

**შაირი** – თექვსმეტმარცვლიანი ლექსი.

**შარჟი** – რისამე სასაცილო ფორმით წარმოსახვა.

**შეცნობა** – რისამე არსში წვდომა, გაგება.

**შეგრძნება** – საგნებისა და მოვლენების გრძნობათა ორგანოებზე უშუალო გავლენით გამოწვეული განცდა.



**შემეცნებითი ინტერესი** — ცოდნისადმი სწრაფვა, რომელიც წარმოიქმნება ინდივიდში საგნებისა და მოვლენებისადმი აქტიური დამოკიდებულების შედეგად.

**შემოქმედება** — პედაგოგიური პროცესის ამოცანების ორიგინალური, მაღალეფექტური გადაწყვეტა.

**შესაძლებლობა** — რისამე გაკეთების, განხორციელების საშუალება, ძალა, უნარი.

**შეფასება** — შეძენილი ცოდნის და უნარ—ჩვევების დონის დადგენა.

**შეხედულება** — მოსაზრება, თვალსაზრისი.

**შინაარსი** — ტექსტთან მიახლოებული მოკლე ინფორმაცია.

**შიფრი** — პირობითი ნიშნების სისტემა; სხვადასხვა დამწერლობის წერითი ფორმა.

**შკალა** — ციფრობრივი მაჩვენებელი.

**შოვინიზმი** — უკიდურესი ნაციონალიზმი.

**შრიფტი** — ტექსტის ასაწყობი სასტამბო ლიტერი; ნაწერის ნაბეჭდი სახე.

**შტამპი** — შტემპელის ანაბეჭდი.

**შტემპელი** — ხელსაწყო გამოსახულებით ან წარწერით ანაბეჭდისათვის, რომელზეც რელიეფურადაა ამოკვეთილი წარწერა ან რაიმე გამოსახულება.





# ჩ

***ჩვევა*** — ცნობიერად გაავტომატიზებული მოქმედება.

# ც

***ცენზი*** — ტიტული, წოდება.

***ცივილიზაცია*** — საზოგადოებრივი განვითარების და მატერიალური კულტურის განვითარების დონე, რომელსაც მიაღწია ამა თუ იმ საზოგადოებრივ—ეკონომიკურმა ფორმაციამ.

***ციკლი*** — ერთმანეთთან დაკავშირებულ მოვლენათა ერთობლიობა; რისამე თანამიმდევრული რიგი. მაგ. ლექციების ციკლი.

***ცინიზმი*** — ზნეობრივი ნორმებისადმი აგდებული დამოკიდებულება.

***ცირკულაცია*** — წრიული მოძრაობა.

***ციტატი*** — ტექსტიდან უცვლელად მოყვანილი ადგილი.

***ცნება*** — ლოგიკურად გაფორმებული ზოგადი აზრი საგანზე, რისამე იდეა.





***ცნობარი*** – სარჩევი საინტერესო ინფორმაციის მოსაძებნად.

***ცოდნა*** – საგნების განმსაზღვრელი ნიშნების, მოვლენათა გამომწვევი კანონზომიერებების ასახვა ადამიანის ცნობიერებაში.

***ცნობიერება*** – ფსიქიკის უმაღლესი დონე.

# წ

***წესდება*** – კონსტიტუციის შესაბამისად შემუშავებული გარკვეული პროგრამა.

***წყარო*** – სათავე, საიდანაც იღებს საწყისს ესა თუ ის საქმიანობა, მიმართულება და სხვა; მეცნიერულ გამოკვლევაში გამოყენებული საბუთი (წერილობითი ძეგლი, ზეპირი გადმოცემა...).

***წყაროთმცოდნეობა*** – ისტორიის დამხმარე დარგი, რომელიც წყაროებს სწავლობს.

***წყობა*** – აგებულება, სტრუქტურა.

***წყობილსიტყვაობა*** – პოეტური მეტყველება; სიტყვაკაზმული მწერლობა.





## ჭ

***ჭაშნიკი*** – მამუკა ბარათაშვილის წიგნი ქართული ლექსწყობის წესებისა და ხასიათის შესახებ.

## ხ

***ხარისხი*** – სასწავლო პროცესისა და მისი შედეგების ინტეგრალური მახასიათებელი, რომელიც სასწავლო პროგრამების შინაარსისა და პედაგოგთა კვალიფიკაციით განისაზღვრება; ვარგისიანობის მაჩვენებელი; რანგი, თანრიგი.

***ხარისხის უზრუნველყოფა*** – შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

***ხასიათი*** – ადამიანის სულიერ თვისებათა ერთობლიობა, რომელიც მის ქცევაში ვლინდება, სულიერი განწყობილება, თვისება.

***ხელნაწერი*** – ხელით ნაწერი.

***ხელოვნება*** – პედაგოგიურ საქმიანობაში საჭირო და ოპტიმალური ხერხებისა და მეთოდების ზედმიწევნითი



ცოდნითა და ოსტატობით გამოყენება; პედაგოგიური შემოქმედება.

***ხერხი*** — მეთოდის ეფექტურობის ამაღლების დამატებითი საშუალება, რითაც ადვილად მიაღწევენ ან შეასრულებენ რასმე.

# ჰ

***ჰაბილიტუსი*** — მეცნიერებათა დოქტორი, პირველი რანგის პროფესორი.

***ჰაგიოგრაფია*** — წმინდანთა ცხოვრებისა და მარტვილობის აღწერა.

***ჰარმონიზაცია*** — აღზრდისა და განვითარების ყველა კომპონენტის ჰარმონიული შერწყმა; პიროვნების სრულყოფა.

***ჰიპერბოლა*** — გაზვიადების ხერხი შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით.

***ჰიპერკინეზი*** — მეტისმეტი უნებური მოძრაობები, რომელიც დამახასიათებელია ნერვული სისტემის ზოგი დაავადებისათვის.

***ჰიპერტიმური*** — ზეაქტიური, დაძაბულ-საქმიანი პიროვნება.

***ჰიპერტროფია*** — რისამე არათანაბარი განვითარება; ზომაზე მეტი კონტროლი.

***ჰიპოთეზა*** — საფუძველი, რომელიც საჭიროა საკითხის ზუსტი გადაჭრისათვის, რაიმე მოვლენის ასახს-

# 3

ნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდი, რომლის უეჭველობა ჯერ არ არის ცდით დამტკიცებული.

***ჰომოგენური*** – წარმოშობით, შემადგენლობით, თვისებებით ერთგვარი.

***ჰორიზონტი*** – ცოდნის, ინტერესების წრე; თვალთახედვა.

***ჰუმანიზაცია*** – ტოლერანტობა, ჰუმანური დამოკიდებულება.

***ჰუმანიზმი*** – მსოფლმხედველობა, რომელიც ადამიანის სიყვარულითაა გამსჭვალული; კაცთმოყვარეობა.

***ჰუმანიტარიზაცია*** – მიმტევებლობა.

***ჰონორარი*** – შრომის საზღაური, ფულადი გასამრჯელო.

***კასხუს*** – კრიტიკული აზროვნება, აქტიური სწავლა უმაღლეს სასწავლებელში.

***წკკა*** – წერა–კითხვა, კრიტიკული აზროვნება.

***ECA*** – ევროპული კულტურა და განათლება.

***ENIC*** – აკადემიური ცნობისა და მობილურობის ევროპული საინფორმაციო ცენტრი.

***ECTS*** – ევროპული საკრედიტო ტრანსფერების სისტემა.

***UNESCO*** – ევროსაბჭო.

***UNICEf***– გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი.

***Poblish relations*** – პიარი, საზოგადოებასთან ურთიერთობა.

***Web-site*** – www - world wide web – მსოფლიო ფართო აბლაბუდა ან მოკლედ web-აბლაბუდა.

***NARIC*** – აკადემიური ცნობის ეროვნული საინფორმაციო ცენტრები.

***ENIC*** – საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელი.

***ESIB*** – ევროპაში სტუდენტების ეროვნული კავშირები.

***EVA*** – ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია.

***ERA*** – კვლევის ევროპული სივრცე.

# სარჩევი

ა.....5
ბ.....23
გ.....29
დ.....35
ე.....45
ვ.....53
ზ.....57
თ.....59
ი.....61
კ.....69
ლ.....83
მ.....87
ნ.....95
ო.....99
პ.....103
ჟ.....113
რ.....115
ს.....123
ტ.....133
უ.....137
ფ.....141

ქ........................................................................................147

ღ........................................................................................149

ყ........................................................................................149

შ........................................................................................149

ჩ........................................................................................153

ც........................................................................................153

წ........................................................................................155

ჭ........................................................................................157

ხ........................................................................................157

ჰ........................................................................................159